ორი ოსმალური დავთარი ბათუმის შესახებ



ორი ოსმალური დავთარი ბათუმის შესახებ

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

ISBN 978-9941-33-756-7

ორი ოსმალური დავთარი ბათუმის შესახებ

(თურქულიდან თარგმნა, შესავალი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო **ზაზა შაშიკაძემ**).

Two Ottoman Defters About Batumi

(Translation from Turkish, Introduction, Research and Comments Were Added by **Zaza Shashikadze**)

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2024

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (FR-19-7386 - „ორი ოსმალური დავთარი და დოკუმენტები ბათუმის შესახებ“).

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) (FR-19-7385, Two Ottoman Defters and Documents on Batumi).

უფასო გამოცემა

რედაქტორები: მამია ფაღავა (ბსუ პროფესორი);
მირიან მახარაძე (თსუ ასოცირებული პროფესორი);
ბაკურ გოგოხია (ისტორიის დოქტორი).

რეცენზენტები: ირაკლი ბარამიძე (ბსუ ასოცირებული პროფესორი);
ლიანა ჭყონია (ბსუ ასოცირებული პროფესორი).

რეზიუმეს თარგმანი: შოთა როდინაძე (ბსუ ასისტ. პროფესორი).

© ზაზა შაშიკაძე, 2024

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2024**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-756-7

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი 5
ბათუმის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრების შესახებ 11

ნაწილი I
„ბათუმის ლივის ვრცელი დავთარი“ (ქართული თარგმანი) 25
ათინას ნაჰიე 30
არჰავეს ნაჰიე 128
ჰემშინის ნაჰიე 206
„ბათუმის ლივის ვრცელი დავთარი“ (ოსმალური ტექსტი) 223
ათინას ნაჰიე 227
არჰავეს ნაჰიე 294
ჰემშინის ნაჰიე 346
„ბათუმის ლივის ვრცელი დავთარი“ (ფოტოები) 357

ნაწილი II
„ბათუმის ლივის მოკლე დავთარი“ (ქართული თარგმანი) 449
„ბათუმის ლივის მოკლე დავთარი“ (ოსმალური ტექსტი) 483
„ბათუმის ლივის მოკლე დავთარი“ (ფოტოები) 507

ინგლისური რეზიუმე 539

ტერმინთა განმარტებები 547

შესავალი

XVI ს-ის 30-40-იანი წლებიდან, უკვე ცალკე სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოს სამხრეთ ტერიტორიებს პერმანენტულად იპყრობს ოსმალეთის იმპერია. ახალმა გარემომ ადგილობრივ მოსახლეობაში დროთა განმავლობაში გამოიწვია რიგი დემოგრაფიული, რელიგიური და ეთნიკური პროცესებისა. აღნიშნული ტერიტორიების ოსმალეთისადმი დაქვემდებარების შემდეგ ქართული წყაროები მათ შესახებ ძალზე მწირ ინფორმაციას შეიცავენ. უკვე, როგორც იმპერიის ერთ-ერთ პროვინციაში, რა თქმა უნდა, ყოველგვარი ოფიციალური თუ არაოფიციალური დოკუმენტი, ნარატიული წყარო თუ სხვა, თურქულ ენაზე იქმნებოდა. არსებობს ოსმალობის დროს ქართული ტერიტორიების შესახებ შექმნილი უამრავი დოკუმენტი: აღწერის და სხვა სახის სარეესტრო, მუჰიმე, რუზნამჩე, ჯიზია თუ სხვა ტიპის დავთრები, სულთნის წერილები, ფირმანები, ბერათები, ქუჩუქ ბერათები, არზუჰალები, ჰუქმები და სხვა. ისინი დიდი ხნის განმავლობაში გროვდებოდა იმპერიის სხვადასხვა დაწესებულებაში. დღეს, ეს დოკუმენტები საუკეთესო წყაროა ამა თუ იმ რეგიონის წარსულთან დაკავშირებული არაერთი საკითხის შესასწავლად.

ქართულ-თურქული ურთიერთობების კვლევა ყოველთვის აქტუალური იყო ქართველი მეცნიერებისთვის. თუმცა ობიექტური კვლევისთვის აუცილებელი მრავალი (განსაკუთრებით თურქული) წყარო მათთვის დიდი ხნის განმავლობაში მიუწვდომელი იყო. ეს გარემოება კი ხშირად ქმნიდა საფუძველს, გაჩენილიყო მცდარი მოსაზრებები ან სულაც არ გვქონოდა წარმოდგენა ამა თუ იმ პერიოდზე, მოვლენაზე თუ ფაქტზე. ამიტომაც თურქეთის არქივებში დაცული წყაროების მოძიება და გამოქვეყნება ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. წყაროების რაოდენობისა და ჩასატარებელი სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით, საკითხისადმი ინტერესი კიდევ დიდ ხანს არ განელდება და აღნიშნული მიმართულებით მუშაობა არ შეწყდება.

საქართველოს ისტორიის ძირითად წყაროში, - „ქართლის ცხოვრებაში“ ბათუმზე ძალზე მწირი ინფორმაცია გვხვდება და ისიც მხოლოდ XVI საუკუნეს განეკუთვნება. ვახუშტი ბატონიშვილიც მხოლოდ აღნიშნულ ფაქტებს იმეორებს და ცალკე, დამატებით გვაძლევს ბათუმის შესახებ გეოგრაფიულ ცნობებს[1]. ამიტომაც, ბათუმის ისტორიის სრულყოფილი შესწავლისათვის, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოურ წყაროებს.

თურქეთის რესპუბლიკის არქივებში ინახება უამრავი დოკუმენტი ბათუმის შესახებ. მდიდარი საისტორიოგრაფიო ტრადიციის მქონე ოსმალეთის იმპერიაში არც ბათუმი დარჩენილა ყურადღების მიღმა და, როგორც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმპერიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის შესახებ, საყურადღებო დოკუმენტური და ნარატიული წყაროებია შექმნილი.

სანამ კონკრეტულად ,,ბათუმის დავთრების“ მიმოხილვასა და მათ შინაარსზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მივიჩნიეთ, მოკლედ მიმოვიხილოთ ბათუმისა და რეგიონის წარსული ,,ოსმალობამდე“ - ქართული და თურქული წყაროების მიხედვით.

ოსმალთა მიერ ბათუმის დაპყრობის თარიღის შესახებ ქართულ და თურქულ ისტორიოგრაფიაში, როგორც სხვა მრავალ საკითხში, განსხვავებული მიდგომებია. ქვემოთ მოკლედ შევეხებით აღნიშნულ საკითხს.

ერთიანი ქართული სამეფოს დაშლის შემდეგ ბათუმი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში, გურიელების მმართველობაში დარჩა.

XVI ს-ის დასაწყისში, სამცხის ათაბაგის მზეჭაბუკ დიდის გარდაცვალების შემდეგ, მისი ადგილის დასაკავებლად დაპირისპირება დაიწყო. ოსმალეთი და ირანი მარჯვედ

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩისვილისა, თბილისი 1973, გვ. 676, 792-793, 814.

იყენებდნენ შიდა ფეოდალურ ომს სამცხე-საათაბაგოში და „დახმარების“ საბაბით იპყრობდნენ და არბევდნენ მას[2].

ქართული პოლიტიკური ელიტა კარგად ხედავდა, რომ ოსმალეთის საფრთხე ადრე თუ გვიან დადგებოდა და მიზნის განსახორციელებლად იგი სამცხის ტერიტორიებს გამოიყენებდა. ამიტომაც, 1535 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565 წწ.), სამცხიდან ოსმალთა შემოჭრის საფრთხის გასანეიტრალებლად, ათაბაგის წინააღმდეგ გაილაშქრა. 13 აგვისტოს ახალქალაქთან ახლოს, სოფელ მურჯახეთთან მან დაამარცხა ყვარყვარე და ტყვედ ჩაიგდო იგი[3]. საათაბაგოს დიდი ნაწილი იმერეთის სამეფოს დაექვემდებარა. მხარდაჭერის სანაცვლოდ გურიელმა ჭანეთი და აჭარა მიიღო ისევ, ხოლო ქართლის მეფე ლუარსაბ I-ს (1527-1556 წწ.) ბაგრატმა ჯავახეთი დაუთმო. ათაბაგობა დროებით შეწყდა. ყვარყვარეს მცირეწლოვანმა ვაჟმა ოთარ შალიკაშვილის დახმარებით სტამბოლში სულთანს შეაფარა თავი. 1536 წლის 4 ივლისს, არზრუმის ბეგლარბეგმა საათაბაგოს ტერიტორიებზე ილაშქრა[4] და დაიპყრო ზემო ლიგანის (ლივანე) ხეობა, მდინარე ჭოროხის აყოლებაზე დღევანდელი იუსუფელის მიდამოებიდან სპერის მიმართულებით.

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ აქედან იწყება ოსმალური მმართველობის შემოღება აღნიშნულ ტერიტორიებზე (დანიშმენდი[5], კირზიოღლუ[6], შენგელია[7], სვანიძე[8]). თუმცა, წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ ბაგრატ III-მ, რომელიც აქტიურად ებრძოდა ოსმალთა საათაბაგოში დამკვიდრებას, მოახერხა ამ ადგილების დროებით დაბრუნება.

XVI ს-ის 40-იან წლებში, ტყვეობაში მყოფი ყვარყვარე III-ის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ვაჟმა ქაიხოსრომ სულთნის დახმარებით გადაწყვიტა ბაგრატ III-ის დამარცხება და ათაბაგობის აღდგენა. სულთანს კარგად ესმოდა, რომ მისი მხარდაჭერა გააძლიერებდა სამცხეში ოსმალთა გავლენას და დახმარებაზე უარი არ უთქვამს[9].

1543 წელს, არზრუმის გამგებლის, მუსა ფაშას მეთაურობით საქართველოში კვლავ შემოვიდა ოსმალთა 22 ათასიანი ლაშქარი. ფაშამ ოლთისისა და ნარმანის მიწების დაპყრობის შემდეგ, ალყა შემოარტყა ოლთისის ციხეს, მაგრამ ვერ აიღო. ციხეში ამ დროს იყო იმერეთის მეფე ბაგრატ III, რომელსაც სამცხე წართმეული ჰქონდა ათაბაგისთვის.

ბაგრატი მიხვდა, რომ პირისპირ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა მტერს და ამიტომაც ხერხს მიმართა. მეფემ, რომელსაც ისევ გურიელი ედგა გვერდში, მოტყუებით მოახერხა მტრის ჯარის ორად გაყოფა. მან საჩუქრები გაუგზავნა ფაშას და დამარცხება აღიარა. ამასთან შეჰპირდა, რომ ოსმალთა ჯარის უომრად გაბრუნების შემთხვევაში ციხეს მის ნებისმიერ წარმომადგენელს გადასცემდა. მუსა ფაშა მოტყუვდა, ციხის მისადგომებთან ჯარის ნაწილი დატოვა მის ჩასაბარებლად, თვითონ კი არზრუმისკენ გაემართა. ბაგრატმა ისარგებლა მოწინააღმდეგის ლაშქრის გაყოფით, ჯერ ოლთისთან დაამარცხა ისინი და შემდეგ მამირვანში, სოფელ ქარაღაქთან წამოეწია და გაანადგურა მუსა ფაშას ჯარი. ფაშა ბრძოლაში დაიღუპა[10].

ქართველთა გამარჯვებებმა განარისხა სულთანი და კვლავ გამოაგზავნა არზრუ-

[2] გაბაშვილი ვ., აღმოსავლური გენეზისის პრობლემა, მახლობელი აღმოსავლეთის კრებული, თბილისი 1954, გვ. 53.

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი 1959, გვ. 457.

[4] იბრაჰიმ ფეჩევი, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა და გამოკვლევებითა და კომენტარებით გამოსაცემად მოამზადა სერგი ჯიქიამ, თბილისი 1964, გვ. 25.

[5] Danışmend, İ.H., İzahli Osmanlı Tarihi Kronolojisi, c. 2, İstanbul 1971, გვ. 190.

[6] Kırzıoğlu, F., Osmanlıların Kafkas Elleri’ni Fethi (1451-1590), Ankara 1998, გვ. 162-163.

[7] შენგელია ნ., XV-XIX სს-ის საქართველოს ისტორიის წყაროები, თბილისი 1974, გვ. 33.

[8] სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., თბილისი 1971, გვ. 57.

[9] სვანიძე მ, დასახ. ნაშრ, გვ. 58.

[10] მახარაძე მ., შაშიკაძე ზ., ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფ-ნამეები საქართველოს შესახებ, თბილისი 2021, გვ. 59-60.

მისა და დიარბაქირის მმართველები სალაშქროდ. დიარბაქირის ბეგლარბეგმა, ხადიმ ალი ფაშამ რომ შეიტყო მუსა ფაშას სიკვდილის ამბავი, შურისძიების მიზნით, სასწრაფოდ ამ მხარეში მოვიდა და დალაშქრა რიგი ტერიტორიებისა, თუმცა ზუსტად არ არის ცნობილი მათი დასახელება[11].

1545 წელს, ბასიანში სოფელ სოხოისტასთან მოხდა დიდი ბრძოლა ქართველებსა და ოსმალებს შორის. ოსმალებს მეთაურობდა მუსა ფაშას ადგილზე არზრუმის ბეგლარბეგად დანიშნული თემერუდ ალი ფაშა. ჰასან რუმლუ აღნიშნულ დაპირისპირებას მოიხსენიებს, როგორც ყანლი ჩემენის ბრძოლას. ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ.

საყურადღებოა, რომ შურისძიების მიზნით, სოხოისტას ბრძოლის შემდეგ, 1547 წელს ოსმალები თავს დაესხნენ გურიელს. ბაგრატმა დახმარება ვერ გაუწია მას. მიუხედავად ამისა, გურიელმა მაინც მოახერხა ოსმალთა შემოტევის დაძლევა. ,,ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, „ამას ჟამსა გურიელს გაუწყრა ხონთქარი ამისთვის, რომ მაშინ ბასიანს, თუ შენ ბაგრატს არ მოჰყოლოდი, იმდენს ჯარს ვერ ამომიწყუეტდაო ბაგრატი. გამოუსია ჯარი და მოვიდნენ ბათომს და დაუწყეს ციხეს შენება კატარღებითა და ნავებითა“[12]. მსგავს ცნობას გვაწვდის ვახუშტიც: „ხოლო შემდგომად მოვიდა სპა ხონთქრისა გურიასა ზედა, რათა შური იგი აგონ, ვინაჲთგან მიჰყვა ბაგრატ მეფესა და მოსწყვდნა სპანი ოსმალთა; მიუღეს გურიელს ჭანეთი, დაუწყეს შენება ციხისა ბათომს“[13].

გურიელმა შეკრიბა ჯარი და ოსმალები განდევნა ბათუმიდან. მტერი ზღვიდან ნავებით უკან გაბრუნდა. თუმცა ადიდებული ჭოროხის გამო ქართველებმა ცხენებით ვერ შეძლეს მდინარის გადალახვა და ოსმალთა დადევნება. მტერმა გონიოს მიაღწია და ციხის გამაგრება დაიწყო, რის შემდეგაც მას წაართვეს ჭანეთი[14]. ოსმალებმა განახლებული გონიოს ციხე აქციეს ავანპოსტად აჭარის დასარბევად და გურიაზე ლაშქრობების მოსაწყობად[15]. ამ დროს ბათუმი ისევ გურიელის დაქვემდებარებაში ჩანს. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, აღნიშნული მოვლენების შემდეგ, ბაგრატის ძმა ვახტანგი გურიელს და გურიელებს ბათუმში შეხვდა[16].

დღეისთვის ცნობილი ყველაზე ადრეული თურქული ცნობა, რომელშიც ბათუმი სანჯაყად არის მოხსენებული, 1549 წლით არის დათარიღებული[17]. თუმცა, წყაროების ანალიზით ირკვევა, რომ ოსმალეთსა და გურიელს შორის საზღვარი გონიოსთან ახლოს მდინარე ჭოროხზე გადიოდა.

1545-1549 წლებში ტრაპიზონის სანჯაყბეგმა ბიიქლი მეჰმედ ფაშას ძე მუსტაფა ფაშამ გონიოს ციხე კიდევ ერთხელ შეაკეთა და გაამაგრა[18]. ჩანს, რომ ამ დროს ბათუმიც სანჯაყად იქნა გამოცხადებული, თუმცა ზუსტი თარიღი გაურკვეველია. თურქი ისტორიკოსი დუნდარ აიდინი, 1549 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტზე დაყრდნობით, თვლის, რომ „ამ დოკუმენტში ნახსენები ბათუმის მმართველი ემირ ბეგი ბათუმის პირველი სანჯაყბეგია“[19].

1549 წლის 15 დეკემბერს არზრუმის თიმარების დავთარდარი სულეიჰ ბეგი ბათუმის სანჯაყში დაინიშნა[20]. ბათუმის სანჯაყბეგის რეზიდენცია გონიოს ციხე იყო[21]. როგორც ჩანს, სწორედ იმიტომ, რომ ამჟამინდელ ბათუმს მიმდებარე ტერიტორიებით ისევ გურიელი ფლობდა.

---

[11] Aydın, D., Erzurum Beylebeyiliği ve Teşkilatı, Kuruluş ve Genişleme Devri (1534-1566), Ankara 1998, გვ. 66.
[12] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 360.
[13] ვახუშტი, დასახ, ნაშრ. გვ. 814.
[14] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 360.
[15] იაშვილი ვ., აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათუმი 1948, გვ. 18.
[16] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 360.
[17] Başbakanlık Osmanlı Arşivi (BOA), Kamil Kepeci Tasnifi (KKT), 209, გვ. 71.
[18] იქვე, გვ. 78, 80, 154. Aydın, D., დასახ. ნაშრ. გვ. 258.
[19] Aydın, D., დასახ. ნაშრ. გვ. 258.
[20] იქვე, გვ. 258.
[21] BOA KKT 209, გვ. 141, Aydın, D., დასახ. ნაშრ. გვ. 259.

მუჰიმე დავთარში დაცული 963 წლის 28 ზილკაადეს (1556 წლის 3 ოქტომბერი) ცნობის მიხედვით ტრაპიზონის სანჯაყის საზღვარი მდინარე ჭოროხზე გადიოდა[22] და ბათუმი ისევ ოსმალეთის საზღვრებს გარეთ იყო.

სანჯაყად გამოცხადების შემდეგ ბათუმი, როგორც წესი, უნდა აღწერილიყო, თუმცა აღნიშნული თარიღის მქონე მსგავსი დოკუმენტი ჯერჯერობით არ აღმოჩენილა. უფრო მოგვიანებით, 1564 წლის 11 დეკემბრის დივანის კანცელარიის დოკუმენტში ბათუმს ისევ ვხვდებით[23].

1578 წლიდან, ირან-ოსმალეთის მორიგ ომამდე, ბათუმი არზრუმს გამოეყო და ცალკე საბეგლარბეგო ჩამოყალიბდა[24]. ბათუმ-ტრაპიზონის საბეგლარბეგო/ვილაიეთი, რომელშიც მხოლოდ ორი სადროშო შედიოდა. ვილაიეთის ცენტრი და სახელწოდება კი იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ სად იჯდა ბეგლარბეგი. რიგი გარემოებების გამო, ბეგლარბეგი ხშირად გონიოში იჯდა. არსებობს სულთნის ბრძანებულებები, სადაც იგი ტრაპიზონის ბეგლარბეგს ავალებს, რომ გონიოში გადავიდეს და საზღვარი გაამაგროს. ესეც ერთი მინიშნებაა იმისა, რომ გონიო საზღვრისპირა პუნქტი იყო.

ბათუმის სანჯაყის შექმნის შემდეგ, XVI ს-ის მეორე ნახევარში, გონიოს ნაჰიე, ათინა, ჰემშინი და არჰავეს ყაზა ბათუმს დაექვემდებარა და ბათუმისა და ტრაპიზონის სანჯაყებს შორის საზღვარი მაფავრიზე (დღევანდელი ჩაიელის ილჩე) გადიოდა[25].

1582 წელს კი, მურად III-ის (1574-1595 წწ.) მმართველობის პერიოდში, ქვეყნის ხელახალი ადმინისტრაციული მოწყობის დროს, ბათუმის და ტრაპიზონის სანჯაყების ხარჯზე ერთიანი ეიალეთი შეიქმნა. ახალი ეიალეთის ბეგლარბეგი ტრაპიზონში იჯდა[26].

1609 წელს მამია II გურიელმა, ისარგებლა რა ოსმალეთის იმპერიაში შექმნილი მდგომარეობით, მოახერხა ოსმალების განდევნა აჭარიდან[27], ჩანს, რომ საზღვარმა ისევ ჭოროხზე გადაინაცვლა.

ოსმალო ისტორიკოსებისა და ევროპელი მისიონერების ცნობების მიხედვით, ბათუმი XVII ს-ის დასაწყისში, კერძოდ 1615 წელს გურიელის მმართველობაში იყო[28], თუმცა ჩანს, რომ ოსმალეთმა მალევე წაართვა იგი.

1617-1648 წლებში ბათუმი კვლავ ოსმალეთის შემადგენლობაში ჩანს. ამავე პერიოდის გურიის სამთავროს ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ოსმალთა გადმოსვლა ჭოროხზე მხოლოდ ბათუმის ციხითა და მისი მიდამოებით შემოიფარგლებოდა[29]. გურიის სამთავროში კი ისეთი რთული მდგომარეობა იყო, რომ გურიელს ნამდვილად არ ჰქონდა შესაძლებლობა, ბათუმისთვის ებრძოლა. მთელი დასავლეთ საქართველო (იმერეთის სამეფო) შიდა დაპირისპირებებმა ძალზე დაასუსტა. პარალელურად, იგი ხარკს უხდიდა ოსმალეთს.

ამ დროს გურიელი, საქართველოს მეფე-მთავრებთან ერთად, დიპლომატიური გზით ცდილობდა რუსეთის დახმარების მოპოვებას, რათა აღეკვეთა მის ტერიტორიებზე ოსმალთა თარეში. თუმცა მცდელობას თავიდან შედეგი არ მოჰყოლია.

XVII ს-ის 60-იანი წლებიდან, გიორგი III გურიელი, რომელიც გამჭრიახობით გამოირჩეოდა, მოხერხებულ პოლიტიკას აწარმოებდა ოსმალეთთან. მიუხეავად იმისა,

---

[22] Bostan, H., XV-XVI. Asırlarda Trabzon Sancağında Sosyal ve İktisadî Hayat, Ankara 2002, გვ. 48.

[23] Aydın, D., დასახ. ნაშრ. გვ. 259.

[24] Aydın, D., დასახ. ნაშრ. გვ. 259.

[25] Bostan, H., დასახ. ნაშრ. გვ. 48.

[26] Gologlu, M., Trabzon Tarihi Fetihten Kuruluşa Kadar, ikinci baskı, Trabzon 2013, გვ. 64.

[27] ვახუშტი, დასახ. ნაშრ. გვ. 724.

[28] თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით, XII ს-დან ვიდრე XX ს-მდე, ტფილისი 1902, გვ. 138.

[29] ჩხატარაიშვილი ქ., გურიის სამთავრო (პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევი), საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი 1959, გვ. 106-107.

რომ იგი ხარკს უხდიდა სულთნის ხელისუფლებას, მაინც შეძლო ბათუმის მხარის დაბრუნება. მის დროს საზღვარი ისევ ჭოროხზე გადიოდა.

გურიელის შემადგენლობაში ჩანს ბათუმი შარდენის ჩანაწერებშიც, რომელმაც XVII ს-ის 70-იან წლებში იმოგზაურა აქ.

ბათუმის ლოკალიზაციის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებს ვხვდებით თურქულ წყაროებში. ზოგიერთი მათგანის მონაცემით, ბათუმი 1582 წლიდან შევიდა ტრაპიზონის ეიალეთის შემადგენლობაში და XVII ს-ის შუა წლებშიც მას ეკუთვნოდა.

ფაქტია, რომ ევლია ჩელები შეცდომას უშვებს, როდესაც გადმოგვცემს, რომ ტრაპიზონის ერთ-ერთი სახელთაგანია „ქალაქი ქვემო ბათუმი". აქვე ამბობს, რომ ტრაპიზონის ვილაიეთი „ჯანჰას" (სწორი ფორმაა ჭანიჭა-ზ.შ.), ზემო ბათუმის, ქვემო ბათუმის, გონიოს და ტრაპიზონის სანჯაყებისგან შედგება[30]. საფიქრებელია, რომ ევლია ჩელების მიერ ნახსენები „ზემო ბათუმი" დღევანდელი ორთაბათუმის თემს უნდა გულისხმობდეს და ქვემო ბათუმი უფრო ზღვისპირა ტერიტორიაა. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს უფრო გვიანდელი, 1835 წლის აღწერა, რომელიც ცხადყოფს, რომ ამ პერიოდშიც კი ორთაბათუმში ბევრად უფრო მეტი მოსახლეობა ცხოვრობს[31], ვიდრე დღევანდელი ქალაქის ტერიტორიაზე, რომელიც აღწერის დოკუმენტში „სოფელ ნავსადგურად" არის მოხსენებული.

ქათიბ ჩელების ცნობების მიხედვითაც ბათუმი გურიელის მმართველობაში ჩანს[32].

აშკარაა, რომ დღევანდელი ბათუმის ტერიტორია თავისი შემოგარენით, ჭოროხის ჩრდილოეთი, დიდი ხნის განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა გურიელსა და ოსმალებს შორის. ხოლო გონიო, რომელიც XVI ს-ის პირველი ნახევრიდან დარჩა ოსმალეთს, ადმინისტრაციული ცენტრი იყო სანჯაყისა, რომელიც ბათუმის სანჯაყად, ზოგჯერ კი გონიოს სანჯაყად მოიხსენიებოდა. ეს უნდა იყოს ამ განსხვავებული ცნობების მიზეზიც. ამ შემთხვევაში „ბათუმის სანჯაყი" უფრო ადმინისტრაციული ტერმინი ჩანს, რომელიც, რა თქმა უნდა, საფუძველს გეოგრაფიიდან იღებს. ამასთან დაკავშირებით ჩვენს მოსაზრებას ქვემოთ მოგახსენებთ.

1703 წელს (ზოგი ცნობით 1704), იმერეთის გამგებლის, გიორგი აბაშიძის მკვეთრი ანტიოსმალური პოლიტიკის გამო, ოსმალთა ლაშქარი გურიის გზით იმერეთში შემოიჭრა. მამია III გურიელს ფიცი ჰქონდა მიცემული იმერეთის მმართველზე და იძულებული იყო, შებრძოლებოდა მტერს. ოსმალებმა ააოხრეს გურია და გურიელიც იძულებული გახდა, მორჩილება გამოეცხადებინა ფაშასთვის[33].

ამ შემოსევის შემდეგ, ბათუმი, რომელიც თურქებმა დაიპყრეს, ჩანს, რომ საბოლოოდ გადავიდა მათ ხელში. მანამდე კი, XVII ს-ის მიწურულს, გიორგი III გურიელმა, გამაჰმადიანებულ აჰმედ ბეგ თავდგირიძეს ჭოროხის ჩრდილოეთ ნაპირზე მდებარე სამფლობელოები ჩამოართვა. ამან აჰმედ ბეგი და მისი ძმა მუსტაფა ბეგი გურიელის მოსისხლე მტრად აქცია და მათ შემოსულ დამპყრობელს სთხოვეს დახმარება[34].

მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბათუმი ოსმალებმა საბოლოოდ 1703 წელს დაიპყრეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არის ცნობილი[35]. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს XVIII ს-ის პირველ წლებში შედგენილი „ბათუმის ლივის აღწერის ვრცელ დავთარში" დაცული

---

[30] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი", თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, ქართული თარგმანი, თბილისი 1971, გვ. 81-82.

[31] BOA NFS.d 01170, გვ. 220-225.

[32] ქათიბ ჩელები, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თრქულიდან თარგმნა, გამოკვლევებითა და კომენტარებით გამოსაცემად მოამზადა, გიული ალასანიამ, თბილისი 2013, გვ. 43.

[33] რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო 1462-1810 წწ. თბილისი 1989, გვ. 151.

[34] ჩხატარაიშვილი ქ., დასახ. ნაშრ. გვ. 150.

[35] იქვე, გვ.150; ჩხარტარაიშვილი ქ., საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის პირველი მეოთხედი), „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, თბილისი 1972, გვ. 60; იაშვილი ვ., დასახ. ნაშრ. გვ. 21; რეხვიაშვილი მ., დასახ. ნაშრ. გვ. 151.

ცნობები. დოკუმენტის დასაწყისში, მოცემულია თოთხმეტი სოფელი და მათი შემოსავლები, რომელიც „გურიელის ქვეყნიდანაა“ და ბათუმის ლივას დაექვემდებარა. სოფლები აღწერილია „დავთრის გარეშე“ და არზრუმის გამგებლის, კეთილშობილი ვეზირის, ჰალილ ფაშას მეცადინეობით, ბეჭდით დამოწმებულ დავთარშია ჩაწერილი[36]. ჩანაწერი დათარიღებულია ჰიჯრის 1116 წლის ჯემაზი ულ-ეველის 22 რიცხვით (1704 წლის 22 სექტემბერი). ტექსტის შინაარსი პირდაპირ მიუთითებს ბათუმის ახლად დაპყრობაზე.

აქვე, როგორც ზემოთ შეგპირდით, გვინდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ ბათუმის ლოკალიზაციის საკითხზე. სხვადასხვა წყაროში დაცული ცნობები ბათუმის შესახებ გვაძლევს საშუალებას გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი, თუნდაც საკითხის დასმის დონეზე. ეს უფრო შემდგომი კვლევის საგანია, თუმცა აქ მოკლედ ვიტყვით.

უძველესი ცნობები ბათუმის შესახებ თუ უფრო გვიანდელი (თუნდაც ზემოთ მოტანილი ევლია ჩელების ცნობები ,,ზემო და ქვემო ბათუმის“ შესახებ), ასევე ის ფაქტი, რომ XVI ს-ის პირველი ნახევრიდან ოსმალეთის მიერ მიერთებული მდინარე ჭოროხის სამხრეთი ტერიტორია გონიოსთან ერთად ბათუმის სანჯაყადაც მოიხსენიებოდა; გარდა ამისა, დოკუმენტურ წყაროებში დაცული მრავალი ცნობა (მათ შორის ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ) გვაფიქრებინებს, რომ ტოპონიმი ბათუმი არ მოიცავს მხოლოდ ლოკალურ ტერიტორიას, სადაც დღევანდელი ქალაქია გაშენებული (ნავსადგურის მიმდებარე - ,,ძველი ბათუმი“), არამედ იგი გეოგრაფიული სივრცეა - ,,მხარე“, ,,ქვეყანა,“ რომელიც უნდა მოიცავდეს ზღვისპირა ტერიტორიას მდინარე დეხვადან, საფიქრებელია სარფის ზღუდემდე და შედის მდ. ჭოროხის აუზში, როგორც ჩანს სოფელ მირვეთამდე – ისტორიული კლარჯეთის საზღვრამდე.

---

[36] ,,ბათუმის ლივის ვრცელი დავთარი“, Ankara, Tapu ve Kadastdao Genel Müdürlüğü arşivi, TTD 122, გვ. A-B.

ბათუმის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრების შესახებ

ოსმალეთის იმპერიაში შექმნილ დოკუმენტებს შორის ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მრავალფეროვანი ინფორმაციის მომცველია საგადასახადო მიზნით შედგენილი აღწერის ვრცელი და მოკლე დავთრები. ისინი გვაძლევენ მნიშვნელოვან ცნობებს კონკრეტული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული, რელიგიური, ეთნიკური მდგომარეობის შესახებ ამა თუ იმ პერიოდში. დოკუმენტები საინტერესოა ლინგვისტური თვალსაზრისითაც. კერძოდ, ენობრივი კავშირების, ეტიმოლოგიური, ონომასტიკური (ტოპონიმების, ანთროპონიმე-ბის) და სხვა არაერთი საკითხის შესასწავლად.

ოსმალური აღწერის დავთრების ერთ-ერთი ნიმუშია 1595 წლით დათარიღებული ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“[37], რომელიც ფასდაუდებელი წყაროა ოსმალთა ბატონობის პირველი წლების სამცხე-ჯავახეთის, კოლა-არტაანის და მიმდებარე რეგიონების ისტორიისათვის. აღნიშნული დოკუმენტი აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ, თარგმანთან და გამოკვლევასთან ერთად სამ წიგნად გამოსცა (1947, 1951 და 1958 წლები), რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ ენაზე ოსმალური დავთრების გამოცემის ტრადიციას.

შემდგომ წლებში ქართველმა მეცნიერებმა გამოსცეს არაერთი მსგავსი დოკუმენტი. 1979 წელს პროფესორებმა ცისანა აბულაძემ და მიხეილ სვანიძემ გამოსცეს ,,ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი“; სერგი ჯიქიამ და ნოდარ შენგელიამ გამოსაცემად მოამზადეს ,,1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (ოსმალური ტექსტი, ქართული თარგმანი შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით, რომელიც დაიბეჭდა 2009 წელს). ,,აჭარის ლივის ვცელი[38] და მოკლე დავთრები“ ერთ წიგნად 2011 წელს გამოსცეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ; ,,არტანუჯი ოსმალეთის იმპერია-ში“ 1595 წლის ,,არტანუჯის ლივის ვრცელ დავთართან ერთად“ გამოსცა ზაზა შაშიკაძემ; 1573/4 წლის ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ 2015 წელს გამოსცა პროფესორმა ნოდარ შენგელიამ.

ზემოთ ჩამოთვლილი წყაროები არის გადასახადების აკრეფის მიზნით ოსმალეთის ქართული პროვინციების კომლობრივი აღწერა (თბილისის შემთხვევაში მათ მხოლოდ აღწერა ჩაატარეს, მაგრამ საკუთარი მმართველობის განხორციელება ვერ მოახერხეს), სადაც სკრუპულოზურად არის დაფიქსირებული ყოველი დასაბეგრი ობიექტი – დასამუშავებელი და საცხოვრებელი მიწები, საძოვრები, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურა, მიწისმფლობელობის ფორმები და სხვა.

აღნიშნული დოკუმენტების ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანამ მრავალი სიახლე შესძინა საქართველოს წარსულის შესწავლის საქმეს. მათი შესწავლა-ანალიზის შედეგად არაერთ საკითხს მოეფინა ნათელი.

ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება წინამდებარე წყაროების (,,ბათუმის დავთრების“) გამოცემა, როგორც ქართული, ისე თურქული ისტორიოგრაფიი-სათვის და კიდევ უფრო ბევრი დღემდე უცნობი ინფორმაცია გამოვა სააშკარაოზე.

მონოგრაფიაში წარმოგიდგენთ ბათუმის ისტორიისათვის ორ უმნიშვნელოვანეს

---

[37] ისტორიოგრაფიაში ცნობილი ასევე, როგორც ,,ჩილდირის”, იგივე ,,ახალციხის ვილაიეთის დიდი დავთარი.“

[38] ,,დიდი” და ,,ვრცელი” მოცემულ შემთხვევაში ერთი და იგივე მნიშვნელობისაა. ტერმინი ,,დიდი“ დამკვიდ-რებულია აკადემიკოს სერგი ჯიქიას მიერ. ჩვენ უბრალოდ ჩავანაცვლეთ ტერმინით ,,ვრცელი“, რადგან მივიჩნიეთ, რომ ეს უკანასკნელი უფრო ზუსტი თარგმანია არაბულ-თურქული ტერმინისა – ,,Mufassal“.

ოსმალურ წყაროს - „ბათუმის ლივის[39] ვრცელი დავთრის“ და ,,ბათუმის ლივის მოკლე დავთრის“ სრულ ქართულ თარგმანს, გაშიფრულ ოსმალურ ტექსტებს და ხელნაწერთა ფოტოასლებს, დართული განმარტებებით და შენიშვნებით. დოკუმენტების ასეთი ფორმით გამოქვეყნება, ვფიქრობთ, დაინტერესებულ პირს მისცემს საშუალებას, გაეცნოს წყაროს ქართულად, საჭიროების შემთხვევაში შეადაროს თარგმანი ორიგინალს და დააზუსტოს რიგი საკითხები. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოცემულ საისტორიო წყაროებში დაცულია უამრავი საინტერესო ცნობა, რომელიც ავსებს ქალაქისა და მთლიანი რეგიონის ისტორიის დღემდე ცარიელ ფურცლებს.

ბათუმი ოსმალეთის იმპერიაში ცალკე სადროშოს (იგივე ლივის/სანჯაყის) სახით იყო გაერთიანებული. იგი სხვადასხვა დროს ვილაიეთის ცენტრიც იყო. დოკუმენტების გეოგრაფიული არეალი მოიცავს დღევანდელ ქალაქ ბათუმს და მის ირგვლივ მდებარე 14 სოფელს, ზღვის შესართავიდან ჭოროხის ხეობის აყოლებაზე მდებარე სოფლებს ბორჩხას ჩათვლით და ისტორიული ჭანეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის სოფლებს ათინას (ახ. Pazar – რიზეს ილში/პროვინციაში) ტერიტორიის ჩათვლით.

,,ბათუმის ლივის ვრცელი დავთრის“ დედანი ინახება თურქეთის რესპუბლიკაში, კერძოდ, ანკარის მიწისა და კადასტრის მთავარი სამმართველოს არქივში, ფონდისა და შიფრის ნომრით TADB. TTD 122. მისი ასლი რამდენიმე წლის წინ შეიტანეს თურქეთის საპ-რეზიდენტო საარქივო სამმართველოს ოსმალური არქივის მიწის სააღწერო დავთრების (TT) ფონდშიც.

,,ვრცელი დავთარი“ სიაკათის ურთულესი, გასაიდუმლოებული ხელით არის დაწერილი. აღნიშნულ ხელს ოსმალეთის იმპერიაში იყენებდნენ ფინანსური, ფისკალური, სახაზინო, შემოსავლებთან დაკავშირებული დოკუმენტების შედგენისას. ზოგჯერ ხელნაწერის ამა თუ იმ მონაკვეთის ამოკითხვა ძალზე რთულია, ამიტომაც, ტექსტებზე მუშაობის დროს დროდადრო გვიწევდა სტამბოლის ოსმალურ არქივსა და თურქეთის სა-ისტორიო საზოგადოებაში თურქ კოლეგებთან კონსულტაციების გავლა და ერთობლივი ძალისხმევით ტექტების ზოგიერთი რთული მონაკვეთის დაზუსტება და დადგენა.

,,დავთარი“ ნუმერაციის მიხედვით 89 გვერდიანია, თუმცა ნუმერაცია ორ-ორ გვერდს მოიცავს და A და B ნაწილებად იყოფა (მთლიანობაში 180 გვერდი). ყდის ზომა 14x41 სანტიმეტრია.

,,ბათუმის ლივის ვრცელი დავთრის“ პირველ და მეორე გვერდებზე მოცემულია ძალზე მნიშვნელოვანი ჩანაწერები. საუბარია თოთხმეტი სოფლის შესახებ, რომელიც ,,გურიელის ქვეყნიდანაა“ და ბათუმის ლივას ახლად დაექვემდებარა. დათვლილია მათი შემოსავლები. ნათქვამია, რომ სოფლები აღწერილია დავთრის გარეშე, მოცემული დროისთვის დაბეგრილია ნაწილობრივ და აღნიშნულია, რომ არზრუმის გამგებლის, ,,კეთილშობილი ვეზირის“, ჰალილ ფაშას მეცადინეობით ბეჭდით დამოწმებულ დავთარშია შეტანილი. ხსენებული ვეზირის ცნობით, წერილითა და უზენაესი ფირმანით, ჰიჯრის 1116 წლის ჯემაზი ულ-ეველის 22 რიცხვში (1704 წლის 22 სექტემბერი) სახელმწიფო ხაზინას დაექვემდებარა და შესაბამისი საბუთებიც გამოიცა.

დავთრის B გვერდზე ვხვდებით ვრცელ ჩანაწერს, რომელიც დათარიღებულია ჰიჯრის წელთაღრიცხვის 1116 წლის ჯემაზი ულ-ეველის 24 რიცხვით (1704 წლის 24 სექტემბერი) და შეიცავს უაღრესად საინტერესო ცნობებს დღევანდელი ქალაქის ისტორიისათვის.

[39] ლივა – იგივე სანჯაყი, ადმინისტრაციული ერთეული ოსმალეთის იმპერიაში – სადროშო. ლივა არაბულად, ხოლო სანჯაყი თურქულად ნიშნავს დროშას.

ზოგადად, აღწერის დავთრებს შედგენის კონკრეტული თარიღი არ ახლავს. მათი დადგენა ხშირად ხდება პირველ გვერდზე დატანილი თუღრას[40] საშუალებით. ბათუმის ვრცელ დავთარს თუღრა არ ახლავს, ამიტომაც მისი შედგენის თარიღად შეიძლება ჩავთვალოთ ზემოხსენებული ჩანაწერების თარიღი. აღნიშნული თარიღი გვეხმარება ბათუმის და მის შემოგარენში მდებარე თოთხმეტი სოფლის საბოლოო დაპყრობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის დადგენაშიც.

აღნიშნული თოთხმეტი სოფელი, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ჯერჯერობით არასრულად არის აღწერილი (კომლთა რაოდენობის გარეშე) და ჩანს, რომ გადასახადე-ბიც ნაწილობრივ არის შეწერილი. მოცემულია ბათუმის ნავსადგურზე და ტბებზე თევზჭერის გადასახადები, მდინარე ჭოროხზე ნავებით გადაადგილების საფასური. ფიქსირდება გადასახადები ღომზე[41], სიმინდზე, შირაზე (ყურძნის წვენი), ბადჰავა და საქორწინო გამოსაღები[42]. B გვერდის ვრცელი ჩანაწერიდან ვგებულობთ, რომ ადგილობრივებისგან იკრიბებოდა ჯიზიას, ავარიზის, ორფისა და შაკკას[43] გადასახადები. ვხვდებით ოსმალეთში გავრცელებულ ფულის ერთეულებს – ახჩა, ყურუში (ესედი ყურუში), ფარა.

წყაროს მიხედვით ,,ბათუმის ლივა“, გარდა აღნიშნული ბათუმის შემოგარენში მდებარე თოთხმეტი სოფლისა, მოიცავდა სამ - ათინას, არჰავესა და ჰემშინის ნაჰიეებს[44]. დოკუმენტის 1-42 გვერდები უჭირავს ათინას ნაჰიეს 70 დასახლებულ პუნქტს, სადაც 3300-მდე კომლია აღწერილი.

აქვე ვიტყვით, რომ დოკუმენტში მოცემული სოფლები იყოფა უბნებად, რომლებიც ცალკეა აღწერილი, მაგრამ აღნიშნულია თუ რომელ სოფელს ექვემდებარება ის. შემდგომში, მოსახლეობის მატებასთან ერთად ისინი დამოუკიდებელ სოფლებად ჩამოყალიბდნენ, რაც დღევანდელი გადასახედიდანაც კარგად ჩანს. ზოგჯერ ამა თუ იმ სოფლის ნაწილი აღწერილია წილის სახით.

,,დავთარში“ მოცემული კომლთა რაოდენობა პირდაპირ გვაჩვენებს დემოგრაფიულ სურათს. მსგავს სიტუაციაში, მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრის თვალსაზრისით, მეცნიერები კომლზე საშუალოდ 5,5-6 კაცს ანგარიშობენ.

არჰავეს ნაჰიე მოიხსენიება ასევე, როგორც ლაზი. მის აღწერას დოკუმენტში უჭირავს 43-78 გვერდები. აღწერილია 76 დასახლებული პუნქტი, სადაც დაახლოებით 3000 კომლი ცხოვრობს.

ჰემშინის ნაჰიეს აღწერა 79-ე გვერდიდან იწყება. მასში 32 სოფელია დამოწმებული, სადაც 1300-მდე კომლი ცხოვრობს. ანთროპონომიის მიხედვით აქ თითქმის მთლიანად სომხური მოსახლეობა ჩანს.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ 1549 წლიდან ოსმალეთსა და გურიელის სამფლობელოს

---

[40] თუღრა – სულთნის მონოგრამა, რომელსაც სულთნის სახელით კანცელარია ურთავდა ოფიციალურ დოკუმენტებს. მასში ჩახვეულად არის ჩაწერილი ამა თუ იმ სულთნის სახელი, მამის სახელი სათანადო ტიტულებითა და ეპითეტებით. თუღრა იყო სულთნის ბეჭედიც.

[41] ღომის, როგორც ცალკე მცენარის სახელწოდება თურქულ ენაში არ იძებნება. დოკუმენტში მოცემულია, როგორც ,,ფასტა“. ჩანს, რომ თურქებს ეს ტერმინი გადმოღებული აქვთ გენუელებისგან. ღომი – ფასტა (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, უცხო შესატყვისობანი (იტალიურ-თურქულ-სომხური), თბილისი 1993, გვ. 575.

[42] გაუთვალისწინებელი ჯარიმები და გოგოს ან ქვრივის გათხოვების დროს დაწესებული სახაზინო გადასა-ხადი. ამასთან დაკავშირებით ქვემოთაც გვექნება საუბარი (ამ და სხვა ოსმალური გადასახადების შესახებ ვრცლად იხილეთ ,,აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“, გამოსცეს ზ. შაშიკაძემ და მ. მახარაძემ, თბილისი 2011.)

[43] ავარიზის ერთ-ერთი სახეობა.

[44] ოსმალეთის იმპერიის მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომელიც რამდენიმე სოფელს აერთიანებდა, თემი.

შორის საზღვარი მდინარე ჭოროხზე გადიოდა. შესაბამისად მდინარის სამხრეთით მდებარე სოფლები ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა და ჩრდილოეთით მდებარე სოფლები ჯერ კიდევ რჩებოდა ქართულ მმართველობაში. ბათუმის ტერიტორია პერიოდულად გადადიოდა ხელიდან ხელში და საბოლოოდ ოსმალებმა 1703-1704 წლებში შეძლეს მისი დაპყრობა. ბუნებრივია, ამ დროს ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფ სოფლებში მდგომარეობა ბევრად უფრო განსხვავებული იყო. აღწერებიც სრულყოფილად იყო ჩატარებული და საგადასახადო სისტემაც ბოლომდე გამართული.

ოსმალური (არაბულ-სპარსული[45]) კონსონანტური დამწერლობის, განსაკუთრებით - სიაკათის შემთხვევაში, ყველაზე რთულ ამოცანას წარმოადგენს ქართული საკუთარი სახელების (ტოპონიმებისა და ანთროპონიმების) ამოკითხვა. აღნიშნული ტიპის ხელნაწე-რებში, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის არ გამოიყენება დიაკრიტიკული ნიშნები, რომელსაც უაღესად დიდი მნიშვნელობა აქვს არაბულ დამწერლობაში. ამას ემატება ისიც, რომ ოსმალური ანბანი ვერ აკმაყოფილებს ქართულ ფონეტიკას და ტრანსკრიფციაში ქართული სახელები იმდენად იცვლება, რომ მათი პირვანდელი სახის აღდგენა დიდ დაკვირვებას და ადგილობრივი ტოპონიმიკის ზედმიწევნით ცოდნას მოითხოვს.

ხელნაწერებში მოცემული ტოპონიმების ამოკითხვაში დიდი დახმარება გაგვიწია სპეციალურმა ლიტერატურამ, როგორიცაა იური სიხარულიძის - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა“ (I და II ტომი, ბათუმი 1958, 1959) და „ჭანეთი (ლაზეთი), საისტორიო გეოგრაფიის მასალები“ (I და II ტომი, ბათუმი 1977, 1979); ალი თანდილავას ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნანაფუნა), თბილისი 2013; ირფან ალექსივასა და ისმაილ ავჯი ბუჯაქლიშის ერთობლივი ნაშრომი - „სვაჯოხო, ლაზურ ტოპონიმთა ლექსიკონი“ (სტამბოლი, 2009),[46] იოსებ ყიფშიძის 1917 წლის „ჭანეთში მოგზაურობის ჩანაწერები,“ ევგენია ეგაძე-ყიფშიძესა და დავით ყიფშიძესთან ერთად, თბილისი 2013, ჰუსეინ სარაჯის „ათინას (ფაზარის) ყაზა ოსმალთა მმართველობაში 1875-1920 წწ.“[47], ევგენი ბარამიძის მიერ ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით შედგენილი „საქართველოს ისტორიული რუკა“, თბილისი 2022, დიმიტრი პაგირევის „ხუთვერსიანი რუკა“[48] (ტიფლის 1914) და თურქული ინტერნეტრესურსები. ზოგიერთი ტოპონიმის დადგენა მოვახერხეთ ადგილზე მცირე ექსპედიციების დროსაც.

უნდა ითქვას, რომ ენობრივი შეუთავსებლობის გამო, თურქულ ლიტერატურაში ტოპონიმი ხშირად მის ძველ, ზუსტ ფორმას აცდენილია. ეს გარემოება განსაკუთრებით ეხება ისეთ ტოპონიმებს, რომლებიც დღეს გამქრალია და მხოლოდ ხელნაწერ წყაროებშია შემორჩენილი. ოსმალური დამწერლობის თავისებურებების გამო, ისინი ხშირ შემთხვევაში თურქ ავტორთა მიერ არასწორად არის წაკითხული. ამას ემატება ისიც, რომ ზოგჯერ ქართული, ამ შემთხვევაში ლაზური ტოპონიმი ფონეტიკური მიმსგავსების გზით გათურქულებულია. მუშაობის დროს, მაქსიმალურად შევეცადეთ მსგავსი „შეცდომები“ აგვეცილებინა და სწორი ფორმა დაგვედგინა, თუმცა რამდენიმე შემთხვევაში მოგვიწია ტოპონიმების პირდაპირი გაზიარება. მსგავს სიტუაციებს თარგმანში სქოლიოებში მივანიშნებთ.

აღსანიშნავია, რომ ტოპონიმთა უმრავლესობის ზუსტი ამოკითხვა შევძელით, თუმცა დარჩა მცირე ნაწილი, რომლის მხოლოდ მიახლოებულ ვარიანტს წარმოგიდგენთ.

[45] არაბულ ანბანი სრულად ვერ აკმაყოფილებს სპარსულ და თურქულ ენებს. ამიტომაც სპარსულში შეტანის დროს, რამდენიმე ანბანურ ნიშანს დიაკრიტიკული ნიშნები დაამატეს და შექმნეს ახალი ბგერები. თურქუ-ლი/ოსმალური დამწერლობა მთლიანად სპარსულიდან არის გადმოტანილი, მხოლოდ მცირე განსხვავებებით.
[46] İrfan Aleksiva, İsmail Avcı Bucaklişi, Svacoxo, Laz Yer Adları Sözlüğü, Birinci baskı, İstanbul 2009.
[47] Hüseyin Sarac, Osmanlı İdaresinde Atina (Pazar) 1875-1920, Ankara 2015.
[48] Д.Д. Пагиревь, Предметный указатель ... „Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказско края”.

იმ შემთხვევებში, როდესაც ლიტერატურაში ვერ მოიძებნა ტოპონიმი და ვერ დავაზუსტეთ იგი, გთავაზობთ ამოკითხვის ჩვენეულ ვარიანტს, მაქსიმალურად მიახლოებულს (შესაძლებელია ზუსტსაც). ასეთ დროს, ტოპონიმის ქართული ვარიანტის გვერდით, ფრჩხილებში წარმოვადგენთ ჩანაწერს არაბული/ოსმალური ანბანით დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე, როგორც ხელნაწერშია. ვფიქრობთ, რომ ეს გარკვეულწილად დაეხმარება მკვლევრებს თუ დაინტერესებულ პირებს ზუსტი ფორმის დადგენაში. იგივე შეიძლება ითქვას ადგილობრივ არამუსლიმურ ანთროპონიმებზეც. მუსლიმთა სახელები არაბულად სტანდარტულად იწერება და მათი ამოკითხვა სირთულეს არ წარმოადგენს, რასაც ვერ ვიტყვით არამუსლიმებზე. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ლაზური სახელების დადგენაში დიდი დახმარება გაგვიწია ალ. ღლონტის ანთროპონიმთა ლექსიკონმა - ,,ქართველური საკუთარი სახელები (თბილისი 1986). ნიშანდობლივია, რომ აღწერაში დაფიქსირებული ლაზური სახელების დიდი წილი ემთხვევა სამეგრელოში და სვანეთში გავრცელებულ სახელებს.

ცნობილია, რომ ჭანეთში ლაზებთან ერთად დიდი რაოდენობით სახლობდნენ ბერძნები. ოსმალეთის იმპერიაში ლაზეთი და აქ მცხოვრები მართლმადიდებელი ლაზური მოსახლეობა კონსტანტინოპოლის ბერძენ პატრიარქს, ანუ ბერძნულ ეკლესიას დაუქვემდებარეს. ცალკე საკითხია თუ რა ტერიტორიაზე, როგორ და რამდენად გავრცელდა ლაზებზე ბერძნული საეკლესიო იურისდიქცია, თუმცა ამ და სხვა გარემოებების გამო, რა თქმა უნდა, გარდაუვალი იქნებოდა ბერძნული გავლენა ლაზებზე[49], რაც წინამდებარე დოკუმენტშიც მეტ-ნაკლებად ჩანს და გამოიხატება გარკვეულწილად ტოპონიმებში და, უფრო მეტად, ანთროპონიმებში. დოკუმენტიდან ისიც ჩანს, რომ, რაც უფრო აღმოსავლეთით ვინაცვლებთ, მით უფრო მცირდება ბერძნული ელემენტი ლაზებში.

ზოგიერთი ანთროპონიმი ბერძნულისთვის დამახასიათებელი ფორმის ან მისი გავლენისა ჩანს (მაგ. ჯორგი, თოდორ, თოდოროს, ხრისტოდოლ, მიხალ...). პარალელურად ვხვდებით ქართულისთვის დამახასიათებელ ფორმებსაც (გიორგი, გორგა, გოგა, გოგი, თევდორე...). ამ და სხვა შემთხვევებშიც ვცდილობთ, შევინარჩუნოთ ხელნაწერში დაფიქსირებული ფორმა და არ ვცვლით მათ. დოკუმენტის შინაარსის გაცნობა და ანალიზი ცხადყოფს, რომ ანთროპონიმთა ბერძნული ფორმა არა მხოლოდ ეთნიკურ ბერძნებში, არამედ ლაზებშიც საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული.

აღწერაში ხშირად შეხვდებით ანთროპონიმ ღორღორა-ს. ოსმალურ დამწერლობაში ანალოგიურად ფორმდება სახელი ყვარყვარე (غورغور). მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ლაზეთში გავრცელებული ფორმა – ღორღორა ვარჩიეთ.

რაც შეეხება სომხურ ანთროპონომიას, რომელიც მცირე გამონაკლისების გარდა მთლიანად ჰემშინშია გავრცელებული, ვფიქრობთ, რომ მაქსიმალურად აღვადგინეთ იგი. შევუნარჩუნეთ სომხური ფორმები. მაგალითად, სომხური სახელი გევორქი ხელნაწერში იგივენაირად ფორმდება, როგორც გიორგი, მაგრამ ჩვენ სომხურ ფორმას ვარჩევთ, რადგან ყოველგვარი ლოგიკა მაქეთ მიგვითითებს. ასევეა ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახელი ჰემშინის სომხურ მოსახლეობაში არის ასტწატური. მისი სწორი ფორმაა – ასტვაწატური. ასეთი ცვლილება შესაძლებელია დოკუმენტის შემდგენის მიერ არასწორი აღქმა იყოს, შესაძლებელია ისიც, რომ ჰემშინში სწორედ ეს ფორმა იყო გავრცელებული. ამიტომაც დოკუმენტში მოცემულ ფორმას გთავაზობთ. მსგავს მიდგომაზე ჩვენ ზემოთაც ვისაუბრეთ.

[49] ამ უაღრესად საინტერესო საკითხზე აქ ფართოდ ვერ შევჩერდებით, თუმცა იგი კარგად არის შესწავლილი ქართულ მეცნიერებაში. მათ შორის თანამედროვე მკვლევრების მიერ (გიორგი ანდრიაძე, ბაკურ გოგოხია...).

სოფლების აღწერაში თავიდან მოცემულია კომლთა უფროსების ვინაობა, რაც დემოგრაფიული მდგომარეობის გარდა წარმოდგენას გვიქმნის მოსახლეობის ეთნიკურ სურათზე. ძალიან ხშირად, ამა თუ იმ პირის სახელის და მამის სახელის ქვემოთ ვხვდებით კიდევ ერთ მინაწერს. კვლევის დროს, საკმაოდ დიდი დრო დაგვჭირდა, რომ ამასთან დაკავშირებით გარკვეული აზრი და მიდგომა ჩამოგვყალიბებოდა, რადგან თვითონ მინაწერის ამოკითხვა საკმაოდ რთულია და მისი დაზუსტებაც ძალზე დიდ დაკვირვებას საჭიროებდა. საბოლოოდ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეს მემკვიდრეობითი სახელები უნდა ყოფილიყო. იგივე საგვარეულო სახელი, გვარსახელი, ოჯახის, შტოს, სანათესაოს კრებითი სახელი – როგორც გნებავთ, ისე მოვიხსენიოთ.

მოცემულ პერიოდში ქართველთა შორის გვარების არსებობასთან დაკავშირებით ქართველ მეცნიერებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ამჟამად ჩვენ ამ საკითხს გვერდს ავუქცევთ, მაგრამ ვიტყვით, რომ აღწერაში მოცემული საკმაოდ მრავალი გვარის ერთი ნაწილი უკვე ჩამოყალიბებული ჩანს, როგორც გვარი, ზოგი კი ჩამოყალიბების პროცესშია. ჩვენ აქ არ ვასახელებთ კონკრეტულ გვარებს. დოკუმენტის შინაარსიდან კარგად ჩანს ეს. აღწერაში შეხვდებით ბერძნულსუფიქსიან თუ სრულ ბერძნულ გვარსახელებსაც. ზოგჯერ არის თურქული წარმომავლობისაც.

ლაზური გვარსახელების დიდი ნაწილის დადგენაში ფასდაუდებელი დახმარება გაგვიწია ბაკურ გოგოხიას კვლევამ, მონოგრაფიამ ,,ლაზური გვარსახელები, ლაზური ანთროპონომიის საკითხები“ (თბილისი 2017) და ავტორთან უშუალო კონსულტაციებმა.

ასევე გარკვეული მიმართულება მოგვცა ნ. ჯომიდავას ორტომეულმა - ,,3000 მეგრული გვარ-სახელი“ (თბილისი 2000) და ა. ჭანტურიას ნაშრომმა - ,,მეგრული სახელები და გვარები“ (თბილისი 2006).

გვარ-სახელთა უმრავლესობა წარმოშობს ტოპონიმს, რომელიც ჩანს, რომ მათი საცხოვრისია. ზოგჯერ პირიქით, საცხოვრისიდანაა ნაწარმოები გვარი.

ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ, რომ ის გვარ-სახელები, რომლის ანალოგიც ვერ მოვძებნეთ, შეძლებისდაგვარად ნამდვილთან მიახლოებული ფორმით წარმოგვეჩინა. უმრავლესობას ხელნაწერში მოცემული არაბული ვარიანტიც დავურთეთ. თუ ისინი შემორჩენილია, მაშინ მათი დადგენის მხოლოდ ერთი გზა არსებობს - კონკრეტულ ადგილებზე კვლევა. თუ ადგილობრივების მეხსიერებაში შემორჩენილია აღნიშნული სახელები, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მათი დაზუსტება. სხვა გზა, სამწუხაროდ, გამორიცხულია.

მოცემული პერიოდის ჭანეთში გავრცელებულია ბევრი ისეთი გვარსახელი, რომელსაც დღეს სამეგრელოში ვხვდებით. უფრო ხშირად საერთო ფუძითა და ლაზური ენისთვის დამახასიათებელი დაბოლოებებით. ეს კი ერთ-ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ შუასაუკუნეების შავიზღვისპირეთში არსებობდა ერთიანი მეგრულ-ლაზური ეთნო-სოციალური და ეთნო-ლინგვისტური სივრცე, სადაც მემკვიდრეობით სახელწოდებათა მსგავს წარმოებასთან გვქონდა საქმე.

ძალიან ბევრ გვარ-სახელს აქვს ამოკითხვის რამდენიმე ვარიანტი. მაგალითისთვის:

حوحوه – ჩოჩივა, ჯოჯუა, ჭოჭუა...

قوقوا - კუკავა, კოკავა, კოკოვა...

قودوا - კუდავა, კოდუა, კოდვა...

قوسوا – კუტივა, კონივა, კონტივა .....

ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვარჩევთ ერთ, გავრცელებულ ვარიანტს, თუმცა სქოლიოში ვუთითებთ შესაძლო ვარიანტებსაც.

ზოგან, გვერდიგვერდ დაფიქსირებული ერთი და იგივე გვარსახელი (შესაძლოა ჩამწერის ფაქტორის გამო) მცირედი განსხვავებითაა მოცემული. ასეთ ვითარებაშიც ჩვენ მას ვტოვებთ ისე, როგორც დედანშია.

დოკუმენტში კომლების შემდეგ ჩამოთვლილია მიწები და მათი მფლობელები. საინტერესოა, რომ მიწისმფლობელთა შორის არიან ქალებიც. ჩანს, რომ ბათუმის ლივა მოცემულ პერიოდში ძალიან მდიდარი იყო ვენახებით. მიწის ნაკვეთებთან ერთად ყველგან სახელდება ვაზი - ,,მიწის ნაკვეთი და ვაზი" (Zemin ve asma). აქ ვაზი, რა თქმა უნდა, ვენახს გულისხმობს (თურქ. Asma bağı – ვენახი).

ძალზე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დოკუმენტებში ოსმალეთში ფართოდ გავრცელებული სამხედრო ლენების – თიმარების, ზეამეთების და ხასების გარდა, დიდი რაოდენობით ვხვდებით ბაშთინას პირობით გაცემულ მიწებსაც. აღნიშნული პირობით გაცემული მიწები აქამდე მხოლოდ ბალკანეთში ფიქსირდებოდა. მსგავსი შემთხვევა ქართულ პროვინციებში არსად დაფიქსირებულა. საკითხი, რა თქმა უნდა, ცალკე შესწავლას საჭიროებს, თუმცა ამის ახსნა რთული არ უნდა იყოს. ბაშთინა ჭანეთის ტერიტორიაზე გვხვდება, რადგან აქაური მოსახლეობა ბერძნული ეკლესიის სამწყსოა და იგივე კანონმდებლობა მოქმედებს, როგორიც საბერძნეთისა და ბალკანეთის ტერიტორიებზე, განსხვავებით ოსმალეთის სხვა ქართული ტერიტორიებისაგან, რომელიც სომხურ ეკლესიას ექვემდებარებოდა.

ბაშთინა იყო მიწის ნაკვეთი, რომელიც მემკვიდრეობით გადადიოდა. ტერმინი სლავურიდან მომდინარეობს. რუმელიის დაპყრობის შემდეგ, ოსმალებმა ადგილობრივებს მისცეს უფლება, რომ ბაღები, დასამუშავებელი მიწები და სახლები მემკვიდრეობით გადასულიყო, თუმცა მფლობელს მისი გაყიდვის უფლება არ ჰქონდა, რადგან მიწა სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა. ბაშთინა ქრისტიანებზე გაიცემოდა და მათ შეეძლოთ მისი დამუშავება, მოსავლის აღება და გაყიდვა.

მიწის ნაკვეთების ჩამონათვალის შემდეგ, ბოლო ნაწილში ხშირად მოცემულია სოფელში წისქვილებისა და მათზე შეწერილი გადასახადების რაოდენობა. აქვეა დათვლილი და დაჯამებული სახასო (ხასის კუთვნილი) ბაღებში ხეების რაოდენობა და შირა (ყურძნის წვენი) და მისი გადასახადი. აღსანიშნავია, რომ შირას რაოდენობა აღირიცხება საბურით, რაც ასევე არ გვხვდება სხვაგან.

საბური - მარცვლეულისა და სითხის საზომი ერთეულია. ოსმალურ დოკუმენტებში აღნიშნული საზომი მხოლოდ შავიზღვისპირა რეგიონში გვხვდება. საბურის შესახებ მეცნიერები განსხვავებულ აზრს გამოთქვამენ და მისი რაოდენობა ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის. ზოგის აზრით, ეს საზომი იგივეა, რაც ბალკანეთში გავრცელებული ,,ჯაბური" და ტრაპიზონის მხარეში იქიდან გადმოსახლებულმა გლეხებმა ჩამოიტანეს.

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ საბური რაოდენობრივად უტოლდება ,,სომარს" და ,,ქილას" და 25,656 კგ-შეადგენს[50]. ბურჰან ოღუზს ბერძნული საზომი ერთეულების შედარებით დასაშვებად მიიჩნევს, რომ საბური შესაძლებელია 53,88 ლიტრი იყოს[51]. ამ ეტაპზე საბურის ზუსტი რაოდენობის თქმა შეუძლებელია და იგი დადგენას საჭიროებს.

,,ვრცელი დავთრის" სოფლების უმრავლესობაში ფიქსირდება გადასახადი არყის

[50] M.Hanefi Bostan, XV-XVI Asırlarında Trabzon Sancağında Sosyal ve İktisadi Hayat, Ankara 2002, s. 488-489.
[51] http://burhanoguz.com/olcu-teknikleri/ (14.08.24 – 24:00).

სახდელზე. მიუხედავად იმისა, რომ ბევრგან ვხვდებით გადასახადს ყურძნის წვენსა და ღვინოზე, არაყზე გადასახადი აქამდე არც ერთ ქართულ პროვინციაში არ შეგვხვედრია. აქედან გამომდინარე დოკუმენტის ამოკითხვის დროს ჩვენ ძალზე ფრთხილად მოვეკიდეთ აღნიშნულ ჩანაწერს (فرون عرق)[52]. არაყი და არხი არაბულად ერთნაირად იწერება და განვიხილავდით აღნიშნულ ვარიანტსაც, თუმცა ვფიქრობთ, რომ სიტყვა „فرون“ (ღუმელი, ქურა) ამ უკანასკნელს გამორიცხავს. იგი პირდაპირ არყის გამოხდას უკავშირდება და საბოლოოდ დავრწმუნდით ჩვენ მიერ ამოკითხული ვარიანტის სისწორეში. აქვე ვიტყვით იმასაც, რომ ყოველი ასეთი სახდელი 6 ახჩით იბეგრებოდა.

ყოველი სოფლის აღწერა მთავრდება გადასახადებისა და მათი რაოდენობის გადმოცემით. აჭარაში გავრცელებული ოსმალური გადასახადი ფართოდ გვაქვს შესწავლილი (იხ. „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრების მიხედვით“)[53]. ამიტომაც აქ მხოლოდ მათი განმარტებებით შემოვიფარგლებით და ვრცლად აღარ განვიხილავთ. თუმცა წინამდებარე დავთრებში არის ისეთი განსხვავებული გადასახადებიც, რომელსაც აჭარისწყლის ხეობაში ვერ ვხვდებით. მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს მათი შინაარსი, აქვე ვისაუბრებთ მათ შესახებაც.

ოსმალეთის იმპერიაში არსებული გადასახადები ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: 1. შარიათის პრინციპებზე, ანუ ისლამურ სამართალზე დაფუძნებული; და 2. სულთნის და მოხელეების ნება-სურვილის მიხედვით შემოღებული და ადათ-წესებსა და ჩვეულებებზე დამყარებული გადასახადები (ურფი).

შარიათის საფუძველზე აკრეფილი გადასახადები ოსმალეთის იმპერიაში არაფრით განსხვავდებოდა სხვა ისლამურ ქვეყნებში აკრეფილი მსგავსი გადასახადებისაგან. მხოლოდ თანზიმათის რეფორმების დროს ზოგიერთი მათგანი გაუქმდა ან სახე იცვალა.

შარიათით დაწესებულ გადასახადთა რიცხვს ეკუთვნის ზექათი, უშრი, ჯიზია და ხარაჯა. უშრი დავთარში არაერთი სახის გვხვდება. დანარჩენი სამი გადასახადი „ვრცელ დავთრებში“ არ აღირიცხებოდა, თუმცა „ბათუმის დავთრებში“ რამდენიმე მონაკვეთში ნახსენებია ისინი და კარგად ჩანს, რომ ადგილობრივი მოსახლეობისგან იკრიფებოდა.

ზექათი სიტყვა-სიტყვით ბარაქას, ნამატს ნიშნავს. იგი ისლამის ხუთი აუცილებელი პირობიდან ერთ-ერთია, რომელიც ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ ქონების მეორმოცედის გაღებას გაჭირვებულების დასახმარებლად[54]. ზექათის პირობები ასეთია: მისი გადამხდელი აუცილებლად უნდა იყოს გადახდისუნარიანი მუსლიმი. მას არ იხდიან მონები და ტყვეები. იგი გადაიხდებოდა, როგორც ნატურით, ისე ფულადი სახით[55].

ზექათი თავის მხრივ რამდენიმე სახისა იყო: წვრილფეხა საქონელზე (ფარაზე), მიწის შემოსავალზე, მადნეულზე და განძზე, ოქროსა და ვერცხლის ფულზე და სავაჭრო საქონელზე დაწესებული.

მიწის მოსავალზე დაწესებულ ზექათს უშრსაც უწოდებდნენ. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არსებობდა ორი სახის უშრი. ამასთან დაკავშირებით მკვლევრები ხშირად შეცდომაში შედიან. ერთი იყო აქვე ნახსენები ზექათის სახეობა, მას „შარიათის უშრსაც“ ეძახდნენ, ხოლო მეორე – უშრი ანუ აშარი, რომელიც მიწის მოსავლის მეათედს უდრიდა და ხარაჯას გადასახადთა ჯგუფში შედიოდა. ეს უკანასკნელი სხვადასხვა კულტურაზე დიდი რაოდენობით არის დაფიქსირებული წინამდებარე „დავთრებში“.

---

[52] Furun-i arak – Furun (Fırın) ნიშნავს ღუმელს, თონეს, ქურას. პირდაპირ ითარგმნება, როგორც „არყის ღუმელი, ქურა“, თუმცა თარგმანში ვარჩიეთ ფორმა „არყის სახდელი“.

[53] შაშიკაძე ზ., მახარაძე მ., დასახ. ნაშრომი.

[54] Nedkoff Borıs Chrıstoff, Osmanlı İmparatorluğunda Cizye (Baş vergisi), TTK Belleten, cilt VIII, sayı 32, Ankara 1944, s. 650.

[55] Akgündüz A., Osmanlı Kanun-Nameleri ve Hukuki Tahlilleri, 1. kitap, İstanbul, 1994, s. 154.

ოსმალეთის საგადასახადო სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ჯიზიას, რომელსაც იმპერიის არამუსლიმი მოსახლეობა იხდიდა საკუთარი ოჯახის, ქონების, სარწმუნოების უსაფრთხოებისათვის.

ჯიზია სათავეს ძველი ეგვიპტიდან, რომიდან და სასანური ირანიდან იღებს. მას არაბებმა სარწმუნოებრივი ხასიათი მისცეს, რომელიც შემდგომში სხვა ისლამური სახელმწიფოების მსგავსად ოსმალეთშიც შემოვიდა[56]. მის შესახებ ყურანში ნათქვამია: ,,შეებრძოლეთ, რომელთაც არ სწამთ ალაჰი და არც დღე უკანასკნელი, და არ თვლიან აკრძალულად იმას, რაც აკრძალა ალაჰმა და მისმა შუამავალმა; და ვინც არ დაიდგენს ჭეშმარიტ სარწმუნოებას მათგან, რომელთაც ებოძათ წიგნი; სანამ თავს არ დაიმცირებენ და საკუთარი ხელით არ გადაიხდიან ჯიზიას“[57]. დაპყრობილ ტერიტორიებზე ქრისტიანს, რომელიც ისლამის მიღებაზე უარს იტყოდა, ჯიზიას გადახდას აკისრებდნენ[58].

ჯიზიას იხდიდა 14-დან 75 წლამდე მამაკაცი. ბავშვებს, ქალებს, ღრმად მოხუცებს და ხეიბრებს ანუ ბრძოლისუუნაროებს არ ახდევინებდნენ. ამიტომაც, თურქ ისტორიკოსთა ნაწილი თვლის, რომ ჯიზია ოსმალეთში არა რელიგიით ნაკარნახები, არამედ სამხედრო სამსახურის სანაცვლო გადასახადი იყო. იგი ფულადი სახით, ოქროთი გადაიხდებოდა და განისაზღვრებოდა გადამხდელის ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. სხვადასხვა დროს ჯიზიას რაოდენობა სხვადასხვა თანხას შეადგენდა. თანზიმათის რეფორმებით ჯიზია გაუქმდა და ,,ჯარის სანაცვლო“ (Bedelat-i Askeriye) დაერქვა.

ხარაჯა არამუსლიმ მოსახლეობაზე დაწესებული გადასახადი იყო. აიღებოდა ორი სახით: 1. დასამუშავებლად აღებულ მიწაზე გადასახადი და 2. მუსლიმი გლეხის მიერ გადახდილი უშრის ანალოგიური გადასახადი, რომელიც დაწესებული იყო არამუსლიმ გლეხობაზე (რეაიაზე) და იგი მას იხდიდა მიწის ნაკვეთზე აღებული მოსავლიდან ნატურალური სახით; თუმცა შეეძლო გადაეხადა ფულითაც.

დასამუშავებელ მიწაზე ქრისტიანული მოსახლეობისგან აღებული ხარაჯას ანალოგიურ გადასახადებს მუსლიმი გლეხობა იხდიდა ჩიფთის (მიწის ნაკვეთის) გამოსაღების, ბენაქის, მუჯერედის, ჯაბა ბენაქის სახით[59].

,,დავთარში“ გადასახადების ჩამონათვალამდე მოცემულია სოფლის გადასახადთა საერთო ჯამი და ხშირ შემთხვევაში ნათქვამია, რომ დაბეგრილია თავისუფალი წესით, რაც ნიშნავდა იმას, რომ გადასახადები მიწის მფლობელის მხრიდან იკრიფებოდა.

რა თქმა უნდა, რთულია ასეთი მოცულობის ხელნაწერის უშეცდომოდ შესრულება. დოკუმენტის ზოგიერთ ადგილზე, დავთრის შემდგენს არასწორად აქვს დაჯამებული რიცხვები. ამიტომაც, ყველგან, სადაც ეს შეცდომა შევნიშნეთ, იქვე, კვადრატულ ფრჩხილებში, კითხვითი ნიშნის დართვით მივუწერეთ გასწორებული ციფრი. ზოგიერთ სოფელში გადასახადებში ასახული კომლთა რაოდენობა არ ემთხვევა ზემოთ ჩამოთვლილ კომლთა რიცხვს. ზოგჯერ ჩანს რომ კომლებიც მეორდება. თუმცა ეს ისეთი შეცდომებია, რომელიც ვერ ცვლის ზოგად სურათს და ვერ აკნინებს წყაროს მნიშვნელობას.

გადასახადების ჩამონათვალს დოკუმენტში სათავეში უდგას ბენაქი. რა თქმა უნდა, იმ სოფლების გარდა, სადაც მოსახლეობა მთლიანად ქრისტიანულია და ბენაქი არ ფიქსირდება. ბათუმის ლივაში ბენაქი, როგორც დანარჩენი გადასახადები, კომლობრივია და განსაზღვრულია 12 ახჩით. ბენაქს იხდის კომლი (ოჯახი). ჩამონათვალში მას მოჰყვება მუჯერედის გადასახადი 6 ახჩის ოდენობით. მუჯერედი იყო დაუოჯახებელი ან ქვრივი,

[56] Nedkoff Borıs Chrıstoff, დასახ.ნაშრ. გვ. 606.

[57] ყურანი, სურა 9 (თევბე), აია 29. წმინდა წიგნი ყურანი და მისი შინაარსობრივი თარგმანი რეზო მიქელაძისა, სტამბოლი 2013, გვ.190.

[58] Halaçoğlu Yusuf, XIV-XVI yy. Osmanlılarda Devlet Teşkilatı ve Sosyal Yapı, Ankara 1998, s. 69.

[59] Akgündüz A., დასახ. ნაშრ. გვ. 129.

მარტოხელა. იგი ბენაქის ანალოგიური, დასამუშავებელ მიწის ნაკვეთზე დაწესებული გადასახადია. დავთრის ზოგიერთი მონაკვეთიდან ირკვევა, რომ მუჯერედის გადასახადი ქრისტიან მოსახლეობაზეც ვრცელდებოდა.

დასამუშავებელ მიწის ნაკვეთზე დაწესებული გადასახადის სახით ოსმალეთის იმპერიის არამუსლიმი მოსახლეობა იხდიდა ისფენჯს, რომელიც შინაარსობრივად მუსლიმი კომლების მიერ გადახდილი ბენაქის ანალოგიური იყო და, რომლის რაოდენობაც მთელი იმპერიის მასშტაბით, იშვიათი გამონაკლისის გარდა, 25 ახჩით განისაზღვრებოდა.

ბენაქის და ისფენჯის ანალიზი ნათელ სურათს ხატავს ბათუმის ლივის მოსახლეობის რელიგიური ვითარების შესახებ. მაგალითად, კარგად ჩანს, რომ მის დასავლეთ ნაწილში უფრო გავრცელებულია ისლამი, ვიდრე აღმოსავლეთში. ათინას ნაჰიეში კომლთა დაახლოებით 4% იხდის ისფენჯს ანუ მხოლოდ მცირე ნაწილია ქრისტიანული. განსხვავებული სურათია არჰავეს ნაჰიეში, სადაც მოსახლეობის თითქმის ნახევარია ქრისტიანული. ჭოროხისპირში ვხვდებით სრულიად ქრისტიანულ სოფლებსაც.

სამწუხაროდ ჰემშინის ნაჰიეს სოფლებში უფრო ზოგადი მონაცემებია და გადასახადები ჩაშლილად არ არის მოცემული, რაც არ გვაძლევს მსგავსი საკითხების დადგენის საშუალებას.

ყველა სოფელში გვხვდება სანაიბო გამოსაღები, გაწერილი კომლზე 9 ახჩის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ მუჯერედი სანაიბო გამოსაღებით არ იბეგრება. ნაიბი იყო შარიათის მოსამართლე, ყადის თანაშემწე ნაჰიეში. ეს იყო წესრიგისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის, ადგილობრივი მმართველების მიერ მოსახლეობაში აკრეფილი გა-დასახადი. ყადის გადასახადი. დამნაშავეები იხდიდნენ ასევე ჯარიმის სახით.

უშრით არის დაბეგრილი ყველა კულტურა, რომელიც მოდის ამა თუ იმ სოფელში. ვხვდებით უშრს კილიან ხორბალზე, ფეტვზე, ყურძნის წვენზე (შირა), კანაფზე, ხილზე, კაკალზე, ბოსტნის მოსავალზე. რამდენიმე სოფელში გვხვდება უშრი თხილზე, დაუცეხვავ ბრინჯზე, დაჭერილ თევზზე. ჩანს, რომ თხილის კულტურა, რომელიც ამჟამად ერთ-ერთი წამყვანია თურქეთის შავიზღვიზღვისპირა რეგიონში, ჯერ კიდევ ერთეულ სოფლებში მოჰყავთ.

წილი სოფელ **[ვ]ულაკადან**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 4500, წილი 2000.

---
140 1693 წლის 29 ივლისი.
141 კიბე ადმინისტრაციულად მაჭახლის სანჯაყს ეკუთვნოდა. შესაძლებელია იგულისხმებოდეს კისე, რომელიც არჰავეს ნაჰიეში შედის. სახელწოდებები ხელნაწერშიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს. აქ უფრო „ბ" იკითხება, ვიდრე „ს".
142 1694 წლის 12 თებერვალი.
143 Çeltik – გაუცეხვავი ბრინჯი.

სოფელი **სახანდო**, ექვემდებარება ლაზს, ჯამი 4000, წილი 2000.
ჯამი 13000.

აი, ეს ორი ათასი ახჩა მინაწერის მქონე სოფელი **არჩია** და ოთხი ათასი ახჩა მინაწერის მქონე სოფელი **სახანდო**, ზემოთ განმარტებულის თანახმად, ჩილდირის ბეგლარბეგს იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით გაუფორმდა.

თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედი. ვეზირის ნიშნით.

ქვემოთ განმარტებულის თანახმად, სამეუფეო ხასებად არის გადაკეთებული.

ასევე, მეჰმედის ზეამეთიდან:
სოფელი **ლარონი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 12500, წილი 4387.
სოფელი **ფელაღრივათი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 13500, წილი 4500.
წილი სოფელ **ვიწედან**, მეორე სახელი **საფულვათი**, ექვემდებარება არჰავეს, 416.
ჯამი 9300.

ასევე, ალის ზეამეთიდან:
სოფელი **კისე**, მეორე სახელი **ფუჩა**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 7000, წილი 1000.
სოფელი **აგვანი**, მეორე სახელი **აქსიღალი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 5500, წილი 1000.
სოფელი **ვაკოსი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 10000, წილი 1000.
ჯამი 3000.

ასევე, ათინას ნაჰიე ხსენებულ ლივაში. თიმარები.
ურეგედის (اوراکد) მირალაის, მუსტაფა ბენ ბაკი აღას თიმარი:
წილი სოფელ **ტვალვათიდან**, მეორე სახელი **იქსენიდი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 8000.
წილი სოფელ **პაპათიდან**, მეორე სახელი **პაღნიქი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 2000.
ჯამი 10000.

ასევე, ჰაჯის თიმარი:
წილი სოფელ **ღავრელითიდან**, მეორე სახელი **მანიკი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 3500.
წილი სოფელ **კოტანოდან**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3920, წილი 2900.
ჯამი 6400.

ასევე, აჰმედ ბენ აბდულაჰის თიმარი:
წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი სერბო (سربو), ექვემდებარება ათინას, ჯამი 6800, წილი 3000.

ასევე, ჰურემის თიმარი:
სოფელი **ხუდისა**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 7000, წილი 6000.

ასევე, ჰუსეინის თიმარი:
სოფელი **დუთხე**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 7450, წილი 2200.
სოფელი **ტაღვათი**, მეორე სახელი **მესოპოტამია**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 8000, წილი 500.

ჯამი 2700.

ასევე, ჰასანის თიმარი:

სოფელი **ბორვეთი**, მეორე სახელი **კოსვათი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 5000, წილი 3000.

ასევე ქეივანის თიმარი:

სოფელი **ჭუკალვათი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 1200.

წილი სოფელ **ტვალვათიდან**, მეორე სახელია **პაპასკირეთი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4100, წილი 800.

წილი სოფელ **ტალვათიდან**, მეორე სახელი მესოპოტამია, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 8000, წილი 500.

სოფელი **ზევანდოსი**, მეორე სახელი **ბაგრატი (داركې)**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 9000, წილი 339.

ჯამი 2839.

ასევე, აჰმედის თიმარი:

სოფელი **ლაზონი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 12500, წილი 4000.

სოფელი **ზევანდოსი,** მეორე სახელი **ბაგრატი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 9000, წილი 2000.

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **მელიმენა**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4000, წილი 1000.

სოფელი **სურმენე**, მეორე სახელი **პასკირი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 300, წილი 150.

ასევე, ათინას ნაჰიეს სერასქერის, აჰმედის თიმარი:

სოფელი **ძლემი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 9300, წილი 7000.

სოფელი **აგვანი**, მეორე სახელი **აქსიკალი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 5500, წილი 4500.

შემოსავალი **ძლემის** მთიდან, ექვემდებარება ხსენებულს, დავთრის გარეშე, ჯამი 500.

ჯამი 12000.

ასევე, ჰემშინის ნაჰიეს სერასქერის, მეჰმედის თიმარი:

სოფელი **წოლორე**, მეორე სახელი **პაზენი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 4700, წილი 3000.

წილი სოფელ **წოლორედან**, მეორე სახელი **პაზინა**, ჯამი 2000.

სოფელი **ძლემი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 9300, წილი 1000.

ჯამი 6000.

ხსენებული წილი ამიერიდან გადაკეთდა და ციხის მცველებს მიეწერა. აღნიშნულის შესახებ ფირმანი გამოიცა და უმაღლესი ბრძანების თანახმად მოხდა გასწორება და ციხის მცველებისთვის მიწერა. 998 წლის ზილკაადეს ბოლო რიცხვში.[144]

ამიერიდან ალის ებრძანა, რომ, როდესაც მოაღწევს სამეუფეო ბრძანება, იმის მიხედვით ჩაიწეროს. მუჰარემის თვის ბოლო რიცხვი, წელი ათასი.[145]

144 1590 წლის 30 სექტემბერი.

145 1591 წლის 17 ნოემბერი.

ასევე, ალის თიმარი:

წილი სოფელ **ტალვათიდან**, მეორე სახელი **ღისი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 7000, წილი 3361.

ასევე, მეჰმედ ჩავუშის თიმარი:

სოფელი **ლარონი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 12500, წილი 4116.

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **მელიმენა**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4000, წილი 700.

თევზის უშრი, ქალაქ ათინასა და ვენექს შორის მდებარე საბაჟოსა და ნავსადგურის გადასახადი, გადასახადი დაუცეხვავ ბრინჯზე და გადასახადი ტყეზე და უშრი მწვანე ბალახზე, ექვემდებარება ხსენებულს, დავთრის გარეშე, ჯამი 50.

სოფელი **სურმენე**, მეორე სახელი **პასკირი,** ექვემდებარება ათინას, ჯამი 300, წილი 150.

ჯამი 5016.

ასევე, რუსტემ და ყაია მუსტაფა ჩავუშის ძეების, თანამფლობელობის პირობით:

სოფელი **[ვ]ულაკა**, მეორე სახელი **ქივსანი** და **მელიმენა** და **ღოდრი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 10000, წილი 6000.

ასევე, ჯაფარის თიმარი:

სოფელი **ღერა**, მეორე სახელი **იოვანვათი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 7200, წილი 3349.

წილი სოფელ **ანარაშიდან,** მეორე სახელი **ზაღნათი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 2100, წილი 400.

წილი სოფელ **ტალვათიდან**, მეორე სახელი **პაპა კომილო**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 6281, წილი 1806.

სოფელი **ზუსა (سور)**[146]**,** მდინარე ჭოროხამდე ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 445.

ჯამი 6000.

ასევე, ჯაფარის თიმარი:

წილი სოფელ **ტავლათიდან**, მეორე სახელი **პაპა კომილო**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 6281, წილი 1000.

სოფელი **კორდითი**, მეორე სახელი **კაზივათი (قصوات)**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 5000, წილი 1000.

მიწის ნაკვეთები მდინარე ფორტუნას ხეობაში, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3150, წილი 500.

წილი სოფელ **ტალვათიდან**, მეორე სახელი **მესოპოტამია**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 8000, წილი 500.

ჯამი 3000.

ასევე, კურდის თიმარი:

სოფელი **დუთხე**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 7450, წილი 2000.

[146] სახელწოდება ნავარაუდევია. ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს ზუწა იგივე ძუწა (იხ. სიხარულიძე, 1977, გვ. 42).

ასევე, სულეიმანის თიმარი:

წილი სოფელ **ვენექიდან**, მეორე სახელი **მელია**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 7430, წილი 6000.

წილი სოფელ **ტალღვათიდან**, მეორე სახელი **მესოპოტამია**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 8000, წილი 6000.

ჯამი 6600.

ასევე, ალის თიმარი:

წილი სოფელ **ტალღვათიდან**, მეორე სახელი **პაპა კომილო**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 6281, წილი 3475.

ასევე, მურთაზას თიმარი:

სოფელი **პაპათი**, მეორე სახელი **კოდიანი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 10499, წილი 5999.

ასევე, მეჰმედის თიმარი:

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **შილერითი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 6150, წილი 3000.

ასევე, ჰამზას წილი:

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **შილერითი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 6150, წილი 2300.

ასევე, ფერვანეს თიმარი:

სოფელი **ფელაღრივათი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 13500, წილი 6000.

სოფელი **ღერა**, მეორე სახელი **ბაშქოი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 3650, წილი 500.

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **ქედათი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 5980, წილი 700.

ჯამი 7200.

ასევე, სულეიმანის თიმარი:

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **პერონო პაპა**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 6800, წილი 2100.

ასევე, ფეჰლივანის თიმარი:

სოფელი **ღერა**, მეორე სახელი **ბაშქოი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 12000, წილი 6800.

ასევე, ბეჰრამ აბდულაჰის ძის თიმარი:

წილი სოფელ **ტვალვათი**, მეორე სახელი **პაპასკირეთი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 4100, წილი 1800.

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **ქედათი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 5980, წილი 1500.

ჯამი 3300.

ასევე, რუსტემისა და მეჰმედის თიმარი, თანამფლობელობის პირობით:

წილი სოფელ **ტალღვათიდან**, მეორე სახელი **მესოპოტამია**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 8000, წილი 4000.

ასევე, მუსტაფას თიმარი:

სოფელი **ჭიმურეთი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 6000, წილი 3000.

სოფელი **ჩხალაზენი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 5700, წილი 3000.

ჯამი 6000.

ასევე, მუსტაფას თიმარი:

სოფელი **ანარაში**, მეორე სახელი **ისულა**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 4618, წილი 3000.

ასევე, აჰმედის თიმარი:

წილი სოფელ **ტავლანიდან**[147], მეორე სახელი **ჯაჯივათი**, მუსტაფას ათინას, ჯამი 5760, წილი 5000.

სოფელი **კოსვათი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 1009.

ჯამი 6009.

ასევე, აბაზა მეჰმედის თიმარი:

სოფელი **ღერა**, მეორე სახელი **ბაშქოი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 12000, წილი 1500.

წილი სოფელ **ღერადან**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3650, წილი 1000.

სოფელი **ასბიჩინი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 7500, წილი 3468.

ჯამი 5968.

აი, ეს შვიდი ათას ხუთასი ახჩა მინაწერის მქონე სოფელიც, ჩილდირის ბეგლარბეგს იურთლუქისა და ოჯაქლიქის პირობით მიეწერა.

თქვენი მონამორჩილი მეჰმედი. ვეზირის ნიშნით.

ქვემოთ განმარტებულის თანახმად, სამეუფეო ხასად არის გადაკეთებული.

ასევე, მეჰმედის თიმარი:

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **ქედათი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 5980, წილი 2000.

სოფელი **ბორვეთი**, მეორე სახელი **კოსვათი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 5000, წილი 1000.

ჯამი 3000.

ასევე, აბაზა აჰმედის თიმარი:

სოფელი **ანარაში**, მეორე სახელი **ასულა**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 4618, წილი 1418.

ჭილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **მელიმენა**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4000, წილი 1000.

წილი სოფელ **ჩაჩორათი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 3580, წილი 582.

ჯამი 3000.

ასევე, აჰმედ აბდულაჰის ძის თიმარი:

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **პერონო პაპა**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 6800, წილი 3000.

---

[147] აქ ამ ფორმით წერია.

ასევე, ფირის თიმარი:

სოფელი **ჭიმურეთი,** ექვემდებარება ათენას, ჯამი 6000, წილი 3000.

ასევე, ჰუსეინ აბდულაჰის ძის თიმარი:

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **პუპულა**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 1200, წილი 700.

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **ბიღანი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 1150, წილი 800.

ჯამი 1500.

ასევე, რუსტემის თიმარი:

წილი სოფელ **ტვალვათიდან**, მეორე სახელი **პაპასკირეთი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 4100, წილი 1500.

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი პუპულა, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 1200, წილი 500.

ჯამი 2000.

ასევე, დავუდის თიმარი:

სოფელი **ფელაღრივათი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 13500, წილი 3000.

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **მელიმენა**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4000, წილი 800.

სოფელი **ზევანდოსი**, მეორე სახელი **ბაგრატი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 9000, წილი 441.

ჯამი 4241.

რიზეს ციხისთავის, სულეიმანის თიმარი:

წილი სოფელ **ტვალვათიდან**, მეორე სახელი **ხომერიკი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 6600, წილი 6000.

ასევე, მეჰმედის თიმარი:

სოფელი **ღერა**, მეორე სახელი **იოვანვათი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 7200, წილი 1000.

წილი სოფელ **ჭამოვათიდან** (حموات), ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3000, წილი 1000.

ჰატიბ მეჰმედის და მუსტაფას და რუსტემის და ქრისტიანი არნოლის წისქვილები სოფელ ანარაშში, ექვემდებარება ათინას, ჯამი 142.

ჯამი 2142.

ასევე, ბათუმის ჩავუშთა ქეთხუდას, ალის თიმარი:

სოფელი **კოტანო**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 11395, წილი 3000.

წილი სოფელ **აგვანიდან**, მეორე სახელი **ძღემი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 8000, წილი 3000.

ჯამი 6000.

საპატიო ბრძანების თანახმად დავთარში ჩაიწერა.

ასევე, რუსტემის თიმარი:

წილი სოფელ **ჭამოვათიდან**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 3000, წილი 2000.

წილი სოფელ **ულაკადან**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4500, წილი 1600.

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **შილერითი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 5500, წილი 200.

მიწები მდინარე ფორტუნას ხეობაში, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3150, წილი 200.

ჯამი 4000.

ასევე, გულაბის თიმარი:

სოფელი **ღერა**, მეორე სახელი **ბაშქოი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 12000, წილი 1500.

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **ქედათი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 5980, წილი 1480.

წილი სოფელ **ტავლათიდან**, მეორე სახელი **მესოპოტამია**, ექვემდებარება ხსენებულს. ჯამი 8000, წილი 1250.

წილი სოფელ **ზევანდოსიდან**, მეორე სახელი **ხანჭკუნი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 3769, წილი 1269.

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **ქედათი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 5980, წილი 1480.

წილი სოფელ **ტავლათიდან**, მეორე სახელი **მესოპოტამია**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 8000, წილი 1250.

წილი სოფელ **ღერადან**, მეორე სახელი **ბაშქოი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 3650, წილი 500.

ჯამი 5999.

ასევე, მაჰმუდ რუსტემის ძის თიმარი:

წილი სოფელ **ღერადან**, მეორე სახელი **ბაშქოი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 3650, წილი 1000.

სოფელი **ფერთინვათი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 8280, წილი 2600.

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **მელიმენა**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 4000, წილი 520.

სოფელი **ღერა**, მეორე სახელი **ხალდი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 6507, წილი 2000.

ჯამი 6100.

ასევე, სოხუმის მირალაის თიმარი:

სოფელი **ჭარჭივათი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 8000, წილი 6000.

წილი სოფელ **ვიწედან**, მეორე სახელი **ჭანეთი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 1500.

წილი სოფელ **სუმლედან**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 1300, წილი 1000.

სოფელი **მოკცოხორა**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 5200, წილი 1000.

წილი სოფელ **კისედან**, მეორე სახელი **პანდოლი**, ექვემდებარება ხსენებულ, ჯამი 13999, წილი 999.

ჯამი 10499.

ასევე, ბუნიად დედეს თიმარი:

სოფელი **ჭუკალვათი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 4000, წილი 3000.

ასევე, ჯაფარის თიმარი:

სოფელი **ჭარჭივათი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 8000, წილი 2000.

წილი სოფელ **სახანდოდან**, ექვემდებარება ლაზს და ისქელეს [ნავსადგურს – ზ.შ.].
ჯამი 3541.

ასევე, ქეივან აბდულაჰის ძის თიმარი:
წილი სოფელ **ტვალვათიდან**, მეორე სახელი **ბუჩანი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3500.
სოფელი **პაპათი**, მეორე სახელი **კოდიანი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 11000, წილი 4500.
ჯამი 8000.

ასევე, არჰავეს ნაჰიე ხსენებულ ლივაში. თიმარები.

ალი ჩავუშის თიმარი:
წილი სოფელ **კისედან**, მეორე სახელი **ლაკროზი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 8500, წილი 6500.
მიწა **ონანაფხე**, ახლოსაა სოფელ **სიდერესთან**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 25.
ჯამი 6525.

ეს სოფელიც ჩილდირის ბეგლაბეგზე იურთლუქისა და ოჯაქლიქის სახით არის მიწერილი.
თქვენი ხსენებული მონამორჩილის მეჰმედის წერილით და ნიშნით.
ქვემოთ განმარტებულის თანახმად სამეუფეო ხასად არის გადაკეთებული.

ასევე, მუსტაფა ჩავუშის თიმარი:
სოფელი **ხაკუდევათი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 8000, წილი 6000.

ასევე, ომერის თიმარი:
შუა **მაკრიალო**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 9000, წილი 3000.

ეს სოფელიც ჩილდირის ბეგლაბეგზე იურთლუქისა და ოჯაქლიქის სახით არის მიწერილი.
ქვემოთ განმარტებულის თანახმად სამეუფეო ხასად არის გადაკეთებული.

ასევე, მუსტაფა ბენ სინანის თიმარი:
სოფელი **ხაკუდევათი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 8000, წილი 2000.

ასევე, ალის თიმარი:
სოფელი **სარფო**[148] ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 8040, წილი 4020.
სოფელი **ზევანდოსი**, მეორე სახელი **ბაგრატი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 9000, წილი 2020.
ჯამი 6040.

ასევე, არჰავეს ნაჰიეს სერასქერის, ომერის თიმარი:
წილი სოფელ **სუმლედან**, მეორე სახელი **ხენდევათი**, ექვემდებარება არჰავეს, ტყის უშრით, თევზის უშრით და დაუცეხვავ ბრინჯზე გადასახადით, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 5000.

---

148 სარფი.

ასევე, ოსმანის თიმარი:
შუა **მაკრიალო**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 9000, წილი 3000.
სოფელი **ზევანდოსი**, მეორე სახელი **ბაგრატი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 9000, წილი 600.
ჯამი 3600.

ასევე, ბალის თიმარი:
სოფელი **მენოკსორა (ارسوقوم)**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 5200, წილი 3200.

ეს სოფელიც ჩილდირის ბეგლაბეგზე იურთლუქისა და ოჯაქლიქის სახით არის მიწერილი.
ქვემოთ განმარტებულის თანახმად სამეუფეო ხასად არის გადაკეთებული.

ასევე, მუსტაფას თიმარი:
სოფელი **მენოკსორა**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 5200, წილი 1000.
სოფელი **ჩაჩორივათი**, მეორე სახელია **პერონითი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 4400, წილი 2200.
ჯამი 3200.

ასევე, ატიფის თიმარი:
სოფელი **სიდერე**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 7500.
წილი სოფელ **სიდერედან**, მეორე სახელი **კუტუნეთი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 6500, წილი 500.
ჯამი 8000.

ასევე, ხიზირის თიმარი:
მერილუშაჰის ჯამაათი, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი, 7000.
სოფელი **ფერთინვათი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 8280, წილი 2000.
წილი სოფელ **აგვანიდან**, მეორე სახელი **ძლემი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 8000, წილი 1000.
ჯამი 10000.

ასევე, აჰმედის თიმარი:
სოფელი **მირვეთი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 1100.
სოფელი **სიმონავათი (سمسوا)**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 1899.
წილი სოფელ **მამაკივათიდან**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 550.
სოფელი **ღერა**, მეორე სახელი **იოვანი** (ايو), ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 7200, წილი 2451.
ჯამი 6000.

ასევე, კურდის თიმარი:
წილი სოფელ **სიდერედან**, მეორე სახელი **კუტუნეთი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 6500, წილი 1500.
წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **პერონო პაპა**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 6800, წილი 500.
ჯამი 2000.

ასევე, ჰასანის თიმარი:

წილი სოფელ **ჩხალაზენიდან**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 500.

სოფელი **ღერა**, მეორე სახელი **გივანვათი** (كوانوات), ექვემდებარება ათინას, ჯამი 7200, წილი 400.

წილი სოფელ **ანარაშიდან**, მეორე სახელი **პერონო პაპა**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 6800, წილი 1200.

წილი სოფელ **ტავღათიდან**, მეორე სახელი **ჭამივათი (حمنوات)**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 5760, წილი 760.

ჯამი 2860.

ასევე, მუსტაფას თიმარი:

სოფელი **მესოპოტამია**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 12000, წილი 3000.

ასევე, მუსტაფას თიმარი:

სოფელი **კოკანვათი** (قوقانوات), ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 6500.

ასევე, მეჰმედის თიმარი:

სოფელი **კისე**, მეორე სახელი **ლაკროზი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 8500, წილი 2000.

ასევე, ომერის თიმარიდან:

სოფელი **ფართინვათი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 8280, წილი 1680.

ასევე, ალის თიმარი:

სოფელი **ფართინვათი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 8280, წილი 2000.

ეს სოფელიც ჩილდირის ბეგლაბეგზე იურთლუქისა და ოჯაქლიქის სახით არის მიწერილი. ხსენებულის ცნობით.

ქვემოთ განმარტებულის თანახმად სამეუფეო ხასად არის გადაკეთებული.

ასევე, ჰასანის თიმარი:

სოფელი **ასბიჩინი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 7500, წილი 2000.

ასევე, ჰაიდარის თიმარი:

შუა **მაკრიალო**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 9000, წილი 3000.

ასევე, ჰალილის თიმარი:

სოფელი **ჯაშა**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 2500.

ასევე, ფერჰადის თიმარი:

სოფელი **კისე**, მეორე სახელი **ფუჩა**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 7000, წილი 1000.

სოფელი **ვაკოსი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 10000, წილი 1000.

ჯამი 2000.

ასევე, ალისა და მეჰმედის თიმარი, თანამფლობელობის პირობით:

სოფელი **სარფო**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 8040, წილი 4020.

ასევე, იუსუფის თიმარი:

სოფელი **კვარვათი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 3980, წილი 2000.

სოფელი **ბორჩხა**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 1000.

სოფელი **ჭუკალვათი**, ექვემდებარება ათინას, ჯამი 4000, წილი 1000.

შემოსავალი **გუთხეს**[149] მთიდან და **ტალვათიდან**, მეორე სახელი **ღისი** და სოფელ **მამაკივათიდან**, მეორე სახელი **ძლემი**, იალაღთან ერთად, დავთრის გარეშე, ექვემდებარება ათინას, ჯამი 500.

გადასახადი დაუცეხვავ ბრინჯზე, გემებზე და ნავებზე, ექვემდებარება ათინას და არჰავეს, მეჰმედ ჩავუშის თიმარის გარეშე, ჯამი 500.

ჯამი 5000.

ასევე, მუსტაფას თიმარი:

სოფელი **ხები** (حبی) (?), მეორე სახელი **ხოფა**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 6622, წილი 3000.

ეს ექვსი ათასი ახჩა მინაწერის მქონე სოფელი **ჩხალაზენი**, ზემოთ განმარტებულის მიხედვით, **ფერთექის** და შუა **ლივანეს** სანჯაყებს იურთლუქისა და ოჯაქლიქის ხასებში გაერთიანდა. 26 ზილკაადე, წელი 1104 წელი.[150]

თქვენი მონამორჩილი ზულფიქარი. უმაღლესი ნიშნით.

ეს სოფელიც ჩილდირის ბეგლაბეგზე იურთლუქისა და ოჯაქლიქის სახით არის მიწერილი. ხსენებულის ცნობით.

ქვემოთ განმარტებულის თანახმად სამეუფეო ხასად არის გადაკეთებული.

ქვემოთ განმარტებულის თანახმად სამეუფეო ხასად გადაკეთდა.

ასევე, მეჰმედის თიმარი:

სოფელი **ჩხალაზენი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 6000.

წილი სოფელ **ჩხალაზენიდან**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 700.

წილი სოფელ **ჩხალაზენიიდან**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 800.

წილი სოფელ **ჩხალაზენიდან**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 780.

წილი სოფელ **ჩხალაზენიდან**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 820.

სოფელი **მაკრი[ა]ლი,** ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 6000, წილი 3000.

ასევე, ჩილდირის მირმირანის ხასები ბათუმის ლივაში იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით და შუა **ფერთექი** და შუა **ლივანე**:

სოფელი **კატაფხია**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 5500.

სოფელი **კიბე** (?), ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 1200.

სოფელი **სუჯუნა**, ექვემდებარება ლაზს, ჯამი 3000.

სოფელი **მაკრი[ა]ლი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 6000.

სოფელი **ხაკუდევათი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 8000.

სოფელი **ჩაჩორივათი**, მეორე სახელი **მირვეთი**, ხსენებული სოფლის თევზის უშრთან ერთად, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 4400.

სოფელი **ასზიჩინი**, ექვემდებარება არჰავეს, ჯამი 7500.

სოფელი **სახანდორი**, ექვემდებარება ლაზს, ჯამი 4000.

[149] უნდა იყოს დუთხე.

[150] 1693 წლის 29 ივლისი.

სოფელი **არჩ[ვ]ეთი**, ექვემდებარება ლაზს, ჯამი 2000.

სამეუფეო ხასებიდან:

სოფელი **დაგვა**, ექვემდებარება ბათუმს, ბენაქის გადასახადი და უშრი სიმინდსა და ღომზე და სხვა გადასახადები, ჯამი 1000.

სოფელი **კვირიკე**[151], ახლოსაა **დაგვასთან**, ექვემდებარება ბათუმს, ბენაქის გადასახადი, უშრი სიმინდსა და ღომზე და გადასახადი წისქვილზე და სხვა გადასახადები, ჯამი1000.

თევზაობა მდინარე **კინკიშაზე**, ახლოსაა **დაგვასთან**, 400.

ჯამი 2400.

კეთილშობილების და დიდებულების დასტურმა, ვანის მცველმა, ვეზირმა ჩეთეჯი აბდულა ფაშამ, მაღალმა ალაჰმა დღეგრძელჰყოს დიდებულება მისი, ჩემი ბედნიერების კარზე წერილი გამოაგზავნა, საქართველოს საზღვრებზე მდებარე გურიელის თავადთაგან გიორგი (قبر[تا]ه) **152** ქრისტიანთა მმართველობის დროს მფლობელობაში არსებულ სოფელთაგან, ბათუმის სანჯაყში მდებარე სოფელ **ჩაქვის** მახლობლად მდებარე ცამეტკომლიანი სოფელ **დაგვას** მოსახლეობას ცხრა-ათი წელია, რაც ისლამი მიუღია. ხსენებული ამით განაწყენებულა. აღნიშნულ დროს, იმავე მიდამოებში, ხსენებული სოფლის აღმოსავლეთით მდებარე შვიდკომლიანი სოფელი **კვირიკენას** მოსახლეობამაც ისლამი მიიღო, რითაც ჩვენს თავშესაფარში გადმოინაცვლა. ბათუმისადმი დაქვემდებარებულ სოფელ **დაგვაში** ბენაქის გადასახადის, სიმინდის უშრის, ღომის უშრის და სხვა გადასახადების სახით ათასი ახჩა მიეწერა, ხოლო **დაგვასთან** ახლოს მდებარე სოფელ **კვირიკენაში** ბენაქის გადასახადის, სიმინდის უშრის, ღომის უშრის, წისქვილის გადასახადის და სხვა გადასახადების სახით ათასი ახჩა და დაგვასთან ახლოს, მდინარე **კინკიშაზე** თევზაობის გადასახადი ოთხასი ახჩა კალემის მხრიდან ვრცელ დავთარში ჩაიწერა. ორი ათას ოთხასი ახჩა შეჯამდა და სამეუფეო ხასებს დაემატა. ამის შემდგომ, ხსენებული თავადის თავდასხმისაგან და მათ საქმეებში ჩარევისგან ხსენებული სოფლების მოსახლეობის დასაცავად, ბათუმის სანჯაყის დიდგვაროვანთაგან სულეიმან ჩავუშს **ციხისძირის** ციხის გასასვლელის დაცვისა და ორი ათას ოთხას ახჩა ქონების ყოველწლიურად სახელმწიფო ხაზინაში გადახდის პირობით, ორმოცდაათი ყურუშის საფასურის ბოძებისა და ხელში უმაღლესი ბერათის გადაცემის თაობაზე თხოვნის საფუძველზე, ხსენებული სოფლებისა და მდინარეზე თევზაობის გადასახადების შესახებ დავთარში ჩანაწერი რახან არ არსებობდა, დავთარხანაში მინაწერი გაკეთდა, ხსენებული ვეზირის [განცხადების] საფუძველზე, ხსენებულ ორ სოფელზე ცალ-ცალკე ათას-ათასი და თევზაობის გადასახადის სახით ოთხასი ახჩის მინაწერით, როგორც სამეუფეო ხასის ნაწილი, დავთარში კალემის მიერ თავიდან იქნა შეტანილი, რის შემდეგაც უმაღლესი ფირმანი გამოვიდა. წლიური თორმეტი ათასი ახჩა ქონებით ახლიდან მუქათაად გამოცხადდა და გადასახადის გადახდის პირობით მალიქანე გაიცა. ამის გამო სულთნის დივანმა საპატიო ბრძანების დაწერის შესახებ, ემირთა შორის უკეთიშობილესს, ჭეშმარიტად ღირსეულ მთავარ დავთარდარ მეჰმედს, ხანგრძლივი იყოს დიდებულება მისი, განუცხადა. აღნიშნული ორი სოფელი ცალცალკე ათას-ათასი და თევზაობის გადასახადი ოთხასი ახჩა მინაწერით, როგორც სამეუფეო ხასის ნაწილი, დავთარში რომ შეტანილიყო, უმაღლესი ფირმანი გამოიცა და დავთარში ჩაიწერა.

1160 წლის 24 შევალი[153].

თქვენი მონამორჩილი სადულლაჰი. ნიშნიანი.

---

[151] ხელნაწერში ერთგან, დიაკრიტიკული ნიშნის დახმარებით აშკარად იკითხება, როგორც ,,კვირიკენა”. სხვა შემთხვევებში იგივე ანბანური ნიშნებია, ოღონ ნიშნის გარეშე.

[152] ეს უნდა იყოს გიორგის გვარი. დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ მივუსადაგეთ გურიის ვერცერთი, მით უმეტეს თავად-აზნაურული გვარი. ამიტომაც მოგვაქვს ხელნაწერში დაფიქსირებული ფორმით.

[153] 1747 წლის 29 ოქტომბერი.

ჩანამატის სახით. დაწვრილებით განმარტების მიხედვით, ბათუმის ნავსადგურის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე დასამუშავებლად უვარგისი, ქვიშიანი, სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებულ მიწაზე, ქალაქის გაშენების გამო, ყოველ ას კვადრატულ წყრთაზე სამეუფეო ხაზინისთვის წლიურად თითო მეჯიდიეს თეთრი ხუთიანის[154] მიწის მუქათაას გადახდის პირობით, სამოცი ათასი წყრთა ადგილი გამოიყო და შემოიღობა. მიწის ნაკვეთები თორმეტ-თორმეტ წყრთა ფართობებად არის დაყოფილი და აღნიშნულიდან სათანადო ადგილის გამოყოფის და დიდებული სულთნის შესაფერისი ჯამეს აშენების და აქვე ვაყუფის გამოყოფის თაობაზე უზენაესი ბრძანებით უმაღლესი ფირმანიც გამოიცა და დავთარში იქნა შეტანილი და დამოწმებული.

[12]28 წლის 23 რეჯები.[155]

ბათუმის ლივა.

ხასები ძმების, ბათუმის სანჯაყბეგ აჰმედის და მუსტაფას სახელზე, თანამფლობელობის წესით, იურთლუქისა და ოჯაქლიქის პირობით.

სოფელი **ანარია**, ახლოსაა **კვაშტურთან**, ექვემდებარება ბათუმს, ჯამი 300.

სოფელი **ახა[ლ]შენი**, ახლოსაა **ნამოსარეკთან**, ექვემდებარება ბათუმს, ჯამი 400.

სოფელი **სამებისგვერდი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 300.

სოფელი **ყოროლისწყალი** (ხელნაწერში **ყოროლის სუ** – ზ.შ.), **სამიზთან** და **ბარდისუბანთან** ერთად, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3000.

სოფელი **ყოროლისთავი**, ახლოსაა მეზრა **ოსთაკართან**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3000.

სოფელი **აგარა**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3000.

სოფელი **კაპრეშუმი** (ხელნაწერში **კაბარაშული** – ზ.შ.), ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3000.

სოფელი **მახინჯაური**, ახლოსაა **კალოსთავთან**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3000.

ერთი თვე ნავსადგურში თევზაობისათვის.

ბათუმის ნავსადგურში თევზაობის გადასახადი, 1000.

ზღაპატრას (ზღვაპატარას ?) ტბაზე თევზაობის გადასახადი, 1000.

ჭოროხის შესართავთან ახალი ზაიმების თევზაობის გადასახადი, 1000.

სოფელი **ერგე,** ექვემდებარება ბათუმს, ჯამი 3000.

სოფელი **ჯოჭო**, მეზრა **წიფნართან** ერთად, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3000.

სოფელი **ხელვაჩაური, თევდორგავურთან** (თოდოგაურთან – ზ.შ.) ერთად, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3000.

სოფელი **კიბე**, მეზრა **აგარასთან** ერთად, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3000.

სოფელი **კაპნისთავი**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3000.

სოფელი **ოსანაური**, ექვემდებარება ხსენებულს, ჯამი 3000.

ჭოროხისწყალზე ნავების გადასახადი, 1000.

აღწერის დავთრის შესაბამისად, ვეზირი ჰალილ ფაშას, დავთრის გარეშე ჩანაწერილები:

სოფელი **ბათუმის ძველი ციხის რაბათი**, ექვემდებარება ხსენებულს, დავთრის გარეშე, ჯამი 5000.

სოფელი **ბათუმის ახალი ციხის რაბათი**, ექვემდებარება ხსენებულს, დავთრის გა-

[154] სულთან აბდულმეჯიდის სახელზე მოჭრილი ვერცხლის ფული, ხუთი ყურუში.

[155] 1813 წლის 22 ივლისი.

რეშე, ჯამი 5000.

სოფელი **ჩაქვი**, ექვემდებარება ხსენებულს, დავთრის გარეშე, ჯამი 3000.

სოფელი **გონია [და] ხერთვისი**, ექვემდებარება ხსენებულს, დავთრის გარეშე, ჯამი 3000.

ბადი ჰავა და საგზაო ბაჟი ბათუმის ნაჰიეში, უმაღლესი ბრძანების საფუძველზე, ჯამი 135000 მატი.

ჯამი 200000.

ტოლთა და სწორთა შორის უპირველესს, აჰმედს და მის ძმას მუსტაფას, იმატოს მათმა ძლიერებამ, ჩემი ბედნიერების კარზე თხოვნა გამოუგზავნიათ, ბათუმის სანჯაყსა და ნაჰიეში მდებარე სოფლები - **ანარია** ახლოსაა **კვაშტურთან**, **ახალშენი** ახლოსაა **ნამოსარეკთან**, **სამებისგვერდი** ექვემდებარება ხსენებულს, **ყოროლისწყალი სამიზთან** და **ბარდისუბანთან** ერთად, **ყოროლისთავი** მეზრა **ოსთაკართან** ერთად, **კაპრეშუმი** და მახინჯაური კალოსთავთან ერთად, ნავსადგურში თევზაობის გადასახადი და ასევე ბათუმის ნაჰიეში მდებარე სოფლები - **ერგეს** საზღვართან მდებარე სოფელი **ერგე** და **ჯოჭო** მეზრა **წიფნართან** ერთად, **ხელვაჩაური თევდორგავურთან** ერთად, და **კიბე** [მეზრა] **აგარასთან** ერთად და **კაპნისთავი** და ჭოროხზე ნავების გადასახადი, გონიას სანჯაყბეგის ჩარევით დავთრის გარეშე აღიწერა. მიწები, რომელიც გურიელები მფლობელობაში იყო, გამოეყო, საზღვრები დადგინდა და ამიერიდან სახელმწიფო ხაზინის კუთვნილებაა. გონიას ბეგი ზედმეტად რომ არ ჩარეულიყო ამ საქმეში, ას თხუთმეტ წელს,[156] არზრუმის ვალის, ვეზირ ჰალილ ფაშას თაოსნობით აღიწერა და მთავარი დავთარხანას მიერ დავთარში იქნა შეტანილი. ხსენებული სოფლები ოთხას ოცდაათი და ნახევარი ყურუში ქონებით, მალიქანეს წესით და თანამფლობელობის პირობით მათ პასუხისმგებლობაში გადავიდა. ქონებიდან **ბათუმის ციხის** მცველების ხელფასები გაიცემა, მაგრამ, რადგან ხსენებული მუქათაა მალიქანე იყო და რეაია უცხო ხელში აღმოჩნდა, თავის დაცვის მიზეზით თანდათან გაიფანტა და ამით ხაზინა დაზარალდა. ხსენებული მუქათაას მალიქანე გაუქმდა და შემდგომში ბათუმის სანჯაყში მდებარე **ბათუმის ძველი ციხის**[157] რაბათი და **ნიფსი ბათუმის** ახალი ციხის რაბათი, აგრეთვე სოფლები - **ჩაქვი**, **ჩაქვისთავი**, **ხერთვისი** აღწერის დროს დავთრის გარეშე დარჩა, მალიქანეში შემავალი სოფლებისა და მეზრების და თევზაობაზე დაწესებული გადასახადები შეიკრიბა, შარიათისა და კანონის თანახმად ყოველ სოფელზე მის მეზრასთან ერთად, დაკისრებული იქნა უშრი და გადასახადის სახით სამი ათასი ახჩა. რაბათებზე ხუთ-ხუთი ათასი ახჩა და თევზაობაზე ათას-ათასი ახჩა. ბადი ჰავასა და ბათუმის ნაჰიეში გზის ბაჟთან ერთად, მთლიანობაში ორი იუქი (ორასი ათასი – ზ.შ.) ახჩა შეადგინა. რადგან ბათუმის სანჯაყის ხასებიდან იყო, ხსენებული ლივის ძველი თაობის მიერ სანჯაყის იურთლუქისა და ოჯაქლიქის პირობით და თანამფლობელობის წესით მათზე გადაცემის და დავთარში დამოწმების თაობაზე მოწყალების თხოვნის დროს, მოკლე და ვრცელ დავთრებში გადამოწმების შედეგად, დავთრის გარეშე აღწერილი ბათუმის ძველი ციხის რაბათი და ნიფსი ბათუმის ახალი ციხის რაბათი და სოფლები **ჩაქვი**, **ჩაქვისთავი**, **გონია** და **ხერთვისი**, ჩაწერილი არ იყო. უწარჩინებულესთა და უკეთილშობილესთა სიამაყის, დავთრის ემინის, ელ-ჰაჯი ალის, ხანგრძლივი იყოს დიდება მისი, განცხადებით, ადრინდელი ჩაწერილი რაოდენობა არ დაემთხვა და სამოცდაცხრა და ნახევარი ყურუშის დამატების შემდეგ, ყოველწლიური ხუთასი ყურუში დადგენილი თანხიდან, ოთხას ოცდაათი და ნახევარი ყურუშის ციხის მცველთა ხელფასებში და დამატებული სამოცდაცხრა და ნახევარი ყურუშის სახელწიფო ხაზინაში გადახდის პირობით, ტრაპიზონისა და გონიას საბაჟოების იჯარა საბაჟოს გადასახადების გარეშე, დავთრის გარეშე აღწერილი სოფლე-

[156] იგულისხმება 1115 წელი, ანუ 1703/04 წელი.

[157] სავარაუდოა, რომ ეს იყოს დღევანდელი ორთაბათუმის თემის სოფელ ყოროლისთავის უბანში, ქვაბიშში მდებარე ხერთვისის ციხე, რომლის ნანგრევები ახლაც არის შემორჩენილი.

ბი და რაბათები და მალიქანეს წესით გაცემული სოფლები და მეზრები, ორასი ათასი ახჩა მინაწერით ბათუმის სანჯაყის ხასებია და ხსენებული ლივის იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით და თანამფლობელობის პირობით ხსენებულთათვის გადაცემის შესახებ, ემირთა შორის სანაქებო და დიდებული მთავარი დავთარდარის, ელ-ჰაჯი მეჰმედის, ხანგრძლივი იყოს დიდება მისი, განცხადებით, მოკლე დავთარი მოატანინეს და ამ განცხადების საფუძველზე ბოძების მიზნით, კალემში ჩანაწერი გაკეთების და დავთარში შეტანის თაობაზე უმაღლესი უმაღლესი ბრძანება გამოიცა და დავთარში იქნა შეტანილი.

13 სეფერი 1134 წელი.[158]

სულეიმანის წერილი ვეზირის ნიშნით.

კახაბრის მიწის მუქათაა, რომელიც მდებარეობს **ბათუმსა** და **გონიას** შორის, დავთრის გარეშე, დადგენილი თანხით, წელიწადში 12000.

ჩანამატის სახით დაწვრილებით განმარტების მიხედვით, სოფელ **ერგეში**, ბათუმის ყოფილი მმართველის, აწ გარდაცვლილი მეჰმედის მიერ აშენებული საპატიო ჯამეს ხელფასებისა და სხვა ხარჯებისათვის, ადრე **კახაბრის** მიწაზე ნასყიდობის თამასუქით ხსენებული მფლობელობაში არსებული, გარკვეულ საზღვრებში მოქცეული მიწის შემოსავალი, კანონის შესაბამისად, უშრის საპატიო ჯამეს ვაყუფისთვის, ამავე ვაყუფის მმართველის დახმარებით, გადახდისა და ჩაბარების თაობაზე უზენაესი წერილის საფუძველზე უმაღლესი ფირმანი გამოვიდა, რომლის საფუძველზეც მოკლე დავთარში ჩაიწერა და გასწორდა.

[1]252 წლის 26 ზილკაადე.[159]

თქვენი მონა-მორჩილი ელ-ჰაჯი მეჰმედ საიდ მუჰიბი, ამჟამად მთავარი დავთარხანას მმართველი და მიწის ნაწყიდობის ზედამხედველი.

რეგისტრაცია გაიარა [12]57 წლის 17 რები ულ-ეველს.[160]

ტოლთა და სწორთა შორის უპირველესს, სულეიმანს, იმატოს მისმა ძლიერებამ, ჩემი ბედნიერების კარზე წერილობითი თხოვნით მოუმართავს, ბათუმსა და გონიას შორის გამდინარე, ჭოროხის სახელით ცნობილი დიდი მდინარე, ძველი კალაპოტიდან გადავარდნილა და სხვა ადგილზე მიედინება. ხსენებული ადგილის აღწერის დროს, მთიანი ადგილებისა და მოუსავლიანობის გამო, არავის საკუთრებაში არ გადაცემულა და მფლობელის გარეშე დარჩა. ადგილობრივებში ეს მიწები **კახაბერის** სახელით არის ცნობილი. ახლომდებარე სოფლების მოსახლეობამ ეს ადგილები თვითნებურად, ძალმომრეობით და ნებართვის გარეშე დაიკავა და მიწების დამუშავება დაიწყო, ხაზინასთან შესაბამისი ვალდებულებების გარეშე. ხსენებული მიწის ყიბლის მხარეს (სამხრეთით -ზ.შ.) ხსენებული დიდი მდინარე ჭოროხია, აღმოსავლეთით კაპანდიბის სახელით ცნობილი მდინარე ჯოჭო (?), ბათუმის მხარეს **ღოშალიზის (غوسه لیز)** გორა, ხოლო ცალ მხარეს - ჭოროხის შავ ზღვასთან შესართავი. აღნიშნულ საზღვრებში მოქცეული მიწის მფლობელობის შარიათის წესებში მოსახლეობას ეცნობა. წლიური რვა ათასი ახჩა ქონებით, ხელახლა ღირებულების ჩაწერა და ორასი ყურუში გადასახადის გადახდის პირობით, მათთვის დატოვების სურვილი გამოთქვეს. გონიასა და ბათუმის ყადის, მევლანას, იმატოს მისმა სიკეთემ და ფოთის ნაიბმა, მევლანა ფეუზულაჰმა, იმატოს მისმა კეთილგონიერებამ, ასევე ბათუმის სანჯაყის მფლობელებმა მეჰმედ და ელ-ჰაჯი სულეიმანმა, ხანგრძლივი იყოს კეთილდღეობა მათი, სხვადასხვა წერილობითი განცხადებით და ბათუმის სანჯაყბეგის ხასში ჩაწერილი ათასი ახჩა, ჭოროხის შესართავთან ზაიმთა თევზაობის გადასახადის გარდა, განცხადებაში ჩაწერი-

[158] 1721 წლის 3 დეკემბერი.
[159] 1831 წლის 4 მარტი.
[160] 1841 წლის 9 მაისი.

ლის თანახმად, სოფელი კახაბერის და სათესველის ჩანაწერი და აღწერა არ მოიძებნა. წარჩინებულთა და კეთილშობილთა სიამაყე, ამჟამინდელი დავთრის ემინ ჰამზა ჰამიდის, იმატოს მისმა დიდებამ, განცხადებითა და განმარტებით, სოფელი **კახაბერი** და მიწები მთავარ საანგარიშოში და კალემის სხვა ჩანაწერებში არ მოიძებნა და მხოლოდ გვერდზე მიწერილის საფუძველზე, მოგვიანებით გაკეთებული განცხადებიდან გამომდინარე, დავთრის გარეშე და მფლობელის გარეშე დარჩენილი მალიქანეს, თავიდან დაკისრებული ქონებითა და გადასახადით, ხაზინისათვის გადაცემა გახდა საჭირო. საბოლოოდ, შექმნილი საჭიროებიდან გამომდინარე, ხსენებული მიწა სხვა სახელითაც ხასების, ვაყუფების, უძრავი ქონების, ზიამეთის ან თიმარის სახით არავის მფლობელობაში რომ არ იყო და მფლობელის გარეშე იყო დარჩენილი, სამოცდაცხრა წლის მარტის თვის დასაწყისიდან, წლიურად თორმეტი ათასი საქონლით, დადგენილი ფასით ჩაიწერა საქონლის ყოველწლიურად სახელმწიფო ხაზინისა და კალემისთვის გადახდის პირობით. ხსენებულ სულეიმანის, იმატოს მისმა ძლიერებამ, განცხადების საფუძველზე მოკლე დავთარი მოატანინეს, ხსენებული დავთარდარის განცხადებით აღნიშნულ საზღვრებში მოქცეული მიწა, სხვა სახელით ხასების, ვაყუფების, უძრავი ქონების, ზეამეთის ან თიმარის სახით არავის განკარგულებაში და არავისზე დამოწმებული ან ბერათით ბოძებული არ ყოფილა და მფლობელის გარეშე იყო დარჩენილი. სამოცდაცხრა წლის მარტის დასაწყისიდან, ყოველწლიური თორმეტი ათასი ახჩა ქონებით, თავიდან დადგენილი დამოწმებული თანხით, საქონლის ყოველწლიურად სახელმწიფოსა და კალემში ადგილებზე გადახდის პირობით, ხსენებული სულეიმანისთვის, იმატოს მისმა ძლიერებამ, დადგენილი გადასახადით, მალიქანეს წესით ბოძების შესახებ კალემს დავთარში ჩანაწერი რომ გაეკეთებინა, უმაღლესი ბრძანება გამოიცა, რის საფუძველზეც დავთარში გატარდა.

[1]169 წლის 14 ზილკაადე.[161]

თქვენი მონამორჩილი, ელ-ჰაჯი აბდი. ნიშნიანი.

სოფელი **კოსტაჯი**, ექვემდებარება ისქელეს, ვრცელიდან 1100.
სოფელი **ბორჩხა**, ექვემდებარება არჰავეს, ვრცელიდან, 2000.
სოფელი შუა **იაკობითი**, ექვემდებარება ლაზს, 4500.
სოფელი **მამანათი**, ექვემდებარება ისქელეს, 5500.
სოფელი **წყარისი**, ექვემდებარება არჰავეს, 1000.
სოფელი **ჩხალაზენი**, ექვემდებარება არჰავეს, 6000.
ჯამი 44700.

ძველი ჩასწორების თანახმად, 17000.
მთლიანი ჯამი ბათუმის ლივაში 61500.

ჩილდირის ბეგლარბეგმა სალიჰმა უმაღლეს კარზე წერილობითი თხოვნა გამოაგზავნა, აწგარდაცვლილი და ცხონებული სულთან სულეიმან ხანის, ალაჰმა შეიწყალოს ნეტარხსენებული, დროიდან მოყოლებული, მამა-პაპათაგან შთამომავლობით, იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით მფლობელობაში არსებული **ფერთექისა** და **ნიფსი ლივანეს** სახასო სოფლებთან ერთად, ასი წლის წინ ჩვენს მიერ დაპყრობილი სოფლებიდან, ბათუმის სანჯაყში, ხსენებულ ნაჰიეებში, ორმოცდაოთხი ათას შვიდასი ახჩა მინაწერის მქონე თერთმეტი სოფლის ზეამეთი, თიმარი და ციხეების მცველები მოკლე დავთარში ჩაწერილი იყო. ას ორ წელს მთლიანად ბათუმის სანჯაყის ზიამეთები და თიმარები, რადგან წარსულში მუქათაას მოხელეებისადმი ნდობა იყო, მათი ჩარევით სახელმწიფო ხაზინის მუქათაას სახით ჩაიწერა მთავარი საანგარიშოს მიერ. ბათუმის სანჯაყში მდებარე ზეამეთების და თიმარების სოფლებიდან ას ორ წელს სამეუფეო ხასებად გადაკეთებული სოფლებიდან

[161]1756 წლის 10 აგვისტო.

ჩვიდმეტი ათასი მინაწერის მქონე ოთხი სოფელი, ას ოთხ წელს სახელმწიფო ხაზინას გამოეყო და კალემის მიერ, კვლავ იურთლუქად და ოჯაქლიქად ჩასწორდა, თუმცა კალემის მხრიდან გაცხადდა, რომ ციხის მცველების თიმარები სამეუფეო ხასებიად არ იყო გატარებული, რის გამოც მოკლე და ვრცელი [დავთრები] მოიტანეს, ადრე ჩაწერილი ჩვიდმეტი ათასი მინაწერის მქონე ოთხი სოფლის გარდა, ხსენებული თერთმეტი სოფლის ორმოცდაოთხი ათას შვიდასი ახჩა, ჩილდირის ბეგლარბეგის ოჯაქლიქად, ფერთექისა და ნიფსი ლივანეს ხასებში ჩაწერის თაობაზე უმაღლესი ბრძანება გამოიცა და ადგილები ჩასწორდა.

დაიწერა [1]105 წლის თექვსმეტ ჯემაზი ულ-ახირს.[162]

თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედი. ვეზირის ბეჭდით.

წინამდებარე ჩანაწერი გაფერმკრთალებულია და ძნელად იკითხება. ზოგან საერთოდ შეუძლებელია მისი ამოკითხვა. წაშლილია თარიღიც. როგორც ჩანს, ამ მიზეზით ტექსტი უმნიშვნელო ცვლილებებით გადაწერილია დოკუმენტის შემდეგ ნაწილში, სადაც შესაძლებელია თარიღის დადგენაც (ზ.შ.).

უკეთილშობილესი ემირთა ემირი მუსტაფა და მისი შვილი მეჰმედი მოვიდნენ, ას ორ წელს[163] სამეუფეო ხასად გადაკეთებული ბათუმის სანჯაყის ზეამეთებისა და თიმარების სოფლები ბათუმის სანჯაყთან ერთად [სამი ათასის] ორას ორმოცდაათ ყურუში ქონებით, მალიქანეს წესით მათ მფლობელობაში იყო. ჩილდირის ბეგლარბეგების სალიჰ ფაშას, იცხაკ ფაშას და ფერჰადის და სეფერის მფლობელობაში არსებული იურთლუქი და ოჯაქლიქი **ფერთექი** და **ნიფსი** ლივანეს ხასს ბათუმის სანჯაყის ზეამეთებისა და თიმარების სოფლებიდან ას ოთხ და ას ხუთ წლებში, მათზე მიწერილი სამოცი ათას შვიდასი ახჩით ჩასწორებული და დამატებული ოცდასამი სოფელი ას ორ წელს გადაკეთდა და ათას ორას ორმოცდაათი ყურუში დაემატა და წლიური ოთხი ათას ხუთასი ყურუში ქონებით, მალიქანეს წესით მფლობელობაში არსებული ბათუმის სანჯაყის გადასახადზე დამატების პირობით, საჭირო ადგილებზე ჩასწორებასთან დაკავშირებით საპატიო ბრძანება გაიცა. თუმცა ჯერ კიდევ ჩასწორებამდე ხსენებულმა იცხაკ ფაშამ ამჯერად დამატებულ ათას ორას ორმოცდაათ ახჩას შვიდას ორმოცდაათი ყურუში კიდევ დაამატა და წლიური ხუთი ათას ორას ორმოცდაათი ყურუში ქონებით, მალიქანეს წესით ოცი ათას შვიდასი ყურუში გადასახადით, ბათუმის სანჯაყის ზეამეთების და თიმარების სოფლები, მათზე გაწერილი გადასახადით გააუქმა და სალიჰ ფაშასთან ერთად მალიქანეს წესით თანამფლობელობის თაობაზე ბერათი გამოაცემინა, რითაც მან უსამართლობა ჩაიდინა. გაუქმებული ბათუმის სანჯაყის ზეამეთებისა და თიმარების სოფლების სამეუფეო ხასად გამოცხადების გზით, ამჯერადაც ორას ორმოცდაათი ყურუშის დამატებით და წლიური ხუთი ათას ხუთასი ყურუში ქონებით, სალიჰ ფაშასა და იცხაკ ფაშას მალიქანეს წესით თანამფლობელობის შესახებ ბერათის გაცემა მოითხოვეს. ას ოთხ და ას ხუთ წლებში სამოცდაერთი ათას შვიდასი ახჩა მინაწერის მქონე ბათუმის სანჯაყის ზეამეთებისა და თიმარების სოფლები ფერთექისა და ნეფსი ლივანას ხასებთან ერთად იუქრთლუქად და ოჯაქლიქად გამოცხადებული ოცდასამი სოფელი ას ორ წელს სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა. საჭირო ადგილებზე ჩასწორების და თანამფლობელობაში მალიქანეს წესით ზემოხსენებული მუსტაფასა და მეჰმედისთვის გადაცემის შესახებ ბერათის გამოცემასთან დაკავშირებით მთავარმა დავთარდარმა მეჰმედმა განაცხადა და ამ განცხადების საფუძველზე, ას ოთხ და ას ხუთ წლებში, სალიჰ ფაშასა და იცხაკ ფაშას ფერთექისა და ნეფსი ლივანას იურქთლუქსა და ოჯაქლიქში მიწერილი ოცდასამი სოფელი, ას ორ წელს შესაბამის ადგილებზე ჩასწო-

[162] 1694 წლის 12 თებერვალი.
[163] იგულისხმება 1102 წელი, ანუ 1690/91.

რების მიხედვით, ბათუმის სანჯაყის ზეამეთებთან და თიმარებთან ერთად ჩამორთმევის და ხსენებული მეჰმედისა და მუსტაფასთვის თანამფლობელობაში მალიქანეს წესით გადაცემის თაობაზე უმაღლესი ბრძანება გამოიცა და დავთარში იქნა შეტანილი.

ტრაპიზონის ეიალეთისადმი დაქვემდებარებული ლაზისტანის სანჯაყის მთავარ, ბათუმის ნავსადგურის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე, დასამუშავებლად უვარგის, ქვიშიან, სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებულ მიწაზე ახალი ქალაქის მშენებლობის მოსაწესრიგებლად, სულთნის მთავარ ხაზინაში, ყოველ ას კვადრატულ წყრთაზე წლიურად თითო მეჯიდიეს თეთრი ხუთიანის[164] მიწის მუქათაას გადახდა დაწესდა. გარდა ამისა, ვინ რასაც აიშენებს, გადაეცემა კერძო საკუთრებაში და მომავალში, მაღალი სახელმწიფოს ნამდვილი ქვეშევრდომების [მოქალაქის -ზ.შ.] მიერ სხვისთვის მიყიდვის შემთხვევაში, უკვე არსებულ გონივრულ ფასზე ასში ხუთი, ხოლო მემკვიდრეებზე, როგორც წესი, გადაცემის შემთხვევაში ასში სამი - უარის თქმის და სხვაზე გადაცემის ხარჯი უნდა გადაიხადოს. საკუთრებაზე ამგვარი უარის თქმისა და სხვა მფლობელზე გადაცემის თამასუქებს გარკვევით მიწერილი განმარტება თუ არ ექნება, სანდოდ არ ჩაითვლება და სამი წლის განმავლობაში შენობები ნაწილობრივ ან მთლიანად თუ არ იქნება აშენებული, ჩამორთმევის და სხვა მსურველთათვის გადაცემის პირობებით, ათას ორას სამოცდაცხრამეტი წლის მარტის დასაწყისიდან მოყოლებული, ხელისუფლების მხრიდან დროებითი საბუთი გაიცემა. მოპირდაპირე მხარეს, სანაპიროსთან ახლოს მდებარე მიწის ფართი, სადაც მომავალში სავარაუდოდ თავდაცვითი ნაგებობა აშენდება, უნდა გათავისუფლდეს და ძველებურად დარჩეს. შუაში, დაახლოებით სამოცი ათასი წყრთა ფართი უნდა შეირჩეს და მოინიშნოს. აზომვის და გამოყოფის შემდეგ მიწებიდან თორმეტ-თორმეტი წყრთა, ყოველ მხარეს დატოვებული გზებით შემოსაზღვრული მიწებიდან, რომელიმე სათანადო ადგილზე, დიდებული სულთნის შესაფერისი ჯამეს ასაშენებლად სათანადო მიწის შესარჩევად, ტრაპიზონის ეიალეთის ამჟამინდელმა ვალიმ, მეჯიდის პირველი ხარისხის საპატიო ნიშნის[165] ღირსმა და მფლობელმა, კეთილშობილების დასტურმა, დიდებულმა მრჩეველმა და ქვეყნის მომწესრიგებელმა ვეზირმა, ეს-სეიდ მეჰმედ ემინ მუხლის ფაშამ, მაღალმა ალაჰმა დღეგრძელჰყოს დიდებულება მისი, წერილობითი შეტყობინება, შედგენილ რუკასთან ერთად წარდმოადგინსა და დაჩქარებულად ჩანაწერების გაკეთება მოითხოვა. აღნიშნული მიწა დიდგვაროვნების, მეჰმედ ემინ ბეგისა და სეფერის, ბარათის საფუძველზე მფლობელობაში მყოფი ბათუმის იურთლუქისა და ოჯაქლიქის ხასების შემადგენლობაშია იყო ჩაწერილი, თუმცა ამგვარი ბარათის მფლობელები ირწმუნებოდნენ, რომ მიწებ მათ ქონების შესყიდვის საბუთებით ჰქონდათ, რაც კანონის შეუსაბამო აღმოჩნდა. ხსენებული ადგილი შესყიდვის საბუთით არავის განკარგულებაში არ ყოფილა და თავისუფალი და მეპატრონის გარეშე აღმოჩნდა. ასეთი სახის მიწებზე ახლიდან უბნებისა და ქალაქის მშენებლობის შეჩერება მხოლოდ მბრძანებლის განკარგულებით და უმაღლესი ფირმანით ხდება, რაც კანონის მოთხოვნაა. აღნიშნული საპატიო ჯამეს მშენებლობა და ხსენებული ადგილის ასევე მასზე ვაყუფად მიბმა, სახელმწიფო დავთარხანაში, ნიშნიანი წერილის საფუძველზე, შესაბამის ადგილზე ჩანაწერის გაკეთებასთან დაკავშირებით, სასულთნო დივანის კალემმა ჩანაწერის გასაკეთებლად საჭირო ყველა ბრძანება გამოსცა. დავთრის ემინების მიერ აღიწერა და აღსრულების შესახებ მბრძანებლის უმაღლესი ფირმანი, უმაღლესი საპატიო სასულთნო ფირმანი გამოიცა და სახელმწიფო დავთარხანაში შესაბამის ადგილზე ჩაიწერა და შეტანილ იქნა.

23 რეები 1280 წელი.[166]

ეს-სეიდ მეჰმედ არიფი, მოქმედი ემინი.

---

[164] სულთან აბდულმეჯიდის სახელზე მოჭრილი ვერცხლის ფული, ხითი ყურუში.
[165] სულთან აბდულმეჯიდის მიერ გაცემული ჯილდო.
[166] 1864 წლის 3 იანვარი.

იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით, ელ-ჰაჯ სულეიმან ბეგის მფლობელობაში არსებული, ბათუმის სანჯაყში მდებარე ნეფსი ბათუმი და მასზე დაქვემდებარებული ანარიაზე და **ერგეზე** და **ხელვაჩაურზე** და **თოდოგაურზე**[167]და **ოსანაურსა** და სხვა სოფლებიდან, წლიური ოთხი ათას სამასი და ნახევარი ყურუში დადგენილი თანხა **ბათუმის ციხის** ადგილობრივი ჯარისკაცების სრული ხელფასის და ჯამეს მოსამსახურების ყოველდღიური ანაზღაურების სახით გადაიხდებოდა. მაშინ, როდესაც აღნიშნულ **ნეფსი ბათუმი** და სხვა სოფლები მირლივას ხასი იყო, უცხო ხალხი – ვინმე აბდულაჰი და სულეიმანი გამოჩნდნენ და მოტყუებით განაცხადეს, რომ ხსენებული ხასის ნაწილი, ძველთაგანვე მირლივას მიერ დაკავებულ მეზრა ექინლის მიწა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა მოიხსენიებს როგორც **კახაბერი**, დავთრის გარეშე იყო და ადრინდელივით, წლიური ასი ყურუში ქონების განსაზღვრულ ფასად მათთვის ებოძებინათ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უმაღლესი ბრძანების საფუძველზე, ადგილიდან წერილობითი განმარტების მოთხოვნის შემდეგ, გაირკვა, რომ ხსენებული მიწა ნეფსი ბათუმისადმი დაქვემდებარებული სოფლებიდან იყო და დიდი ხანია ხსენებული ლივის მფლობელებს ჰქონდათ დაკავებული, საიდანაც წლიურ ოთხას ოცდაათ და ნახევარ ყურუში ქონების დადგენილ საფასურს, მირლივა ციხის მცველებს და მოსამსახურეებს ხელფასის სახით უხდიდა. ხსენებულ მიწაზე, ციხის მცველებისა და მოსამსახურეებისათვის ყოველწლიურად სახელმწიფო ხაზინაში ჩაბარების პირობით დაწესებული ასი ყურუში რომ არ მოშლილიყო, ამჯერად მალიქანეს ჩანაწერი გაუქმდა და ხელფასის სახით ციხის მცველებისა და მოსამსახურეებს დაენიშნათ და მფლობელობაში გადავიდა, რაზეც უმაღლესი ბერათი გაიცა. თუმცა, ხსენებული მიწა არ შედიოდა იმ სოფლებში, რომელიც ძველთაგანვე მირლივას მიერ იყო დაკავებული და, საიდანაც იგი, წლიურად ოთხას ოცდაათი და ნახევარი ყურუშის საქონლის განსაზღვრულ საფასურს ხელფასის სახით ციხის ჯარისკაცებს და მოსამსახურეთ უხდიდა. ამჯერად, ზემოხსენებული მიწა **კახაბერი** მირლივას განკარგულებაში გადავიდა და ადრინდელივით, წლიურად ოთხას ოცდაათი და ნახევარი ყურუში საქონლის განსაზღვრული საფასური, ხელფასის სახით ციხეში მყოფ ჯარისაცებსა და მოსამსახურეებს უნდა გადაუხადოს, ხოლო ჩაწერილი ასი ყურუში საქონლის სახელმწიფო ხაზინას უნდა ჩააბაროს. ასევე, ამჟამინდელი სამეუფეო კარის იანიჩართა აღას, პატივცემული ელ-ჰაჯ მეჰმედ აღას მიერ სოფელ **ერგეში** მაღალი ალაჰის სახელზე აშენებული საპატიო ჯამეს მოსამსახურეთა ხელფასების და სხვა ხარჯებისთვის, ხსენებული **კახაბრის** მიწიდან შესყიდვის თამასუქით მფლობელობაში არსებული ადგილების მოსავლიდან, კანონის ფარგლებში გადახდილი უშრის ხსენებული ჯამეს ვაყუფისთვის გადაცემის და ჩაბარების თაობაზე ჩანაწერის ჩასწორებისა და ადრე გაცემული უმაღლესი ბერათის შეცვლასთან დაკავშირებით, ხსენებულმა მირ[ალაიმ] წერილობითი თხოვნა და სურვილი გამოთქვა. ამ შუამდგომლობით ბოძებული ბერათის გამოცემა და ჩაწერილის მიხედვით ხსენებული მირ[ალაის] შუამდგომლობით, მფლობელობის ნებართვა მიეცეს. ხსენებული აღას თხოვნით, ზემოხსენებული **კახაბერის** მიწიდან, წლიური ასი ყურუში ქონების საფასურის ვალდებულების მიღება და თანხმობასთან დაკავშირებით მოთხოვნების განცხადებები და დამოწმებული საბუთები უნდა იქნას წარმოდგენილი. სამეუფეო ბრძანებით, ჯარისკაცებისა და მოსამსახურეების ხელფასის წლიდან წლამდე სახელმწიფო ხაზინაში და ასევე კალემის გადასახადის ადგილებზე ჩაბარების პირობით, აი, ამ სამოცდათორმეტი წლის მარტის დასაწყისიდან მალიქანეს მფლობელებს აბდულაჰს და სულეიმანს ჩამოერთვათ და მალიქანეს ჩანაწერი გაუქმდეს. განსაზღვრული ღირებულებით ჯარისკაცებისა და მოსამსახურეებისთვის გადაცემის შესახებ, გასულ თვეში შესაბამის ადგილზე ჩაიწერა, ბერათის და მთავარ დავთარხანაში წერილობითი შეტყობინების გადაცემაზე მთავარი საანგარიშში გაკეთებული დაწვრილები-

[167] აქ ასეთი ფორმით წერია.

თი მინაწერის შემდეგ გამოცემული უმაღლესი ფირმანის საფუძველზე, ხელფასის სახით ოთხას ოცდაათი და ნახევარი ყურუშის ადრინდელივით ჯარისკაცებსა და მოსამსახურე-ებზე უნდა გაიცეს, ხოლო ჩაწერილი ასი ყურუში საქონელი განსაზღვრული თანხა და კალემის გადასახადის სახელმწიფო ხაზინაში და ადგილებზე გადახდა და აღნიშნული მი-წის ხსენებული აღასთვის შესყიდვის საბუთის საფუძველზე მფლობელობაში არსებული მიწების შემოსავლიდან, კანონიერად დაწესებული უშრის ხსენებულ ჯამეს ვაყუფისთვის გადაცემისა და ჩაბარების პირობით, ხსენებული კახაბერის, ხსენებული წლიდან, ადრინ-დელის მსგავსად, ბათუმის მირლივას მიერ დაკავების შესახებ, მირლივას სახელზე ჩაიწე-რება და ზემოხსენებული ბერათი კალემში იქნა შენახული. ახალი ბერათის გამოცემასა და დავთარხანაში გასაგზავნი წერილობითი შეტყობინებასთან დაკავშირებული მოხსენების საფუძველზე მაღალი ფირმანი გამოვიდა და, როგორც ზემოთ დაწვრილებით არის გან-მარტებული, ბერათი ებოძა. მთავარ დავთარხანაში წერილობითი შეტყობინების გაგზავ-ნის შემდეგ ეს საბუთი გადაეცა.

8 ზილჰიჯე, 1172 წელი.[168]

[ბეჭედი].

შენახულ იქნას მთავარ დავთარხანაში.

მთავარ დავთარხანას.

სოღუჯაქის მცველის, ალი ფაშას მხრიდან გამოგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მეთაურთა რიგებიდან თორმეტ კაცს გაუჩნდა სა-არსებო საშუალების საჭიროება და ისინი მაღალ მოწყალებას ითხოვენ. მათი სახელების და დიდების შესახებ გადმოცემულია უზენაეს ფირმანში, რომლის მიხედვითაც სამ მათ-განს ერთნაირად - ხუთას-ხუთასი ყურუში, ერთს სამას ორმოცდაათი, შემდეგ სამს ასევე თანაბრად – სამას-სამასი, ორ მათგანს ცალცალკე ას ორმოცდაათი და დანარჩენ სამს კი ას-ასი ყურუში, ყველას ერთად, დამსახურებული ხელფასის სახით, ანაპას საბაჟოს შემო-სავლებიდან აღება და დივეს მხრიდან დანიშნული ფადიშაჰის მოსამსახურეებისა და ხსე-ნებულ საბაჟოზე მომსახურების მხრიდან გადახდის პირობით, მიმდინარე ოთხმოცდაჩ-ვიდმეტი წლის სექტემბრის დასაწყისიდან მოყოლებული, ყოველწლიურად მთლიანობაში სამი ათას სამას ორმოცდაათი ყურუში დამსახურებული ხელფასის დანიშვნასა და გაცე-მასთან დაკავშირებით, მთავარ საანგარიშოში ჩაწერისა და საჭიროების მიხედვით სხვა-დასხვა ბერათების და, აღნიშნული ანაპას საბაჟოს, როგორც სამეუფეო ხასის შესაბამის ადგილზე ჩანაწერის გაკეთების მიზნით, მთავარ დავთარხანაში წერილობითი შეტყობინე-ბისა და ხსენებული ფაშისთვის შეტყობინების გაგზავნის მიზნით, საპატიო ბრძანების და-წერის შესახებ მოხსენების შემდეგ გამოცემული მაღალი ფირმანის საფუძველზე, ჩანაწე-რი გაკეთდა. ხსენებული ამირების დამსახურებული ხელფასებისათვის სხვადასხვა ბერა-თის შეტყობინებისთვის საპატიო ბრძანების გაცემით, ანაპას საბაჟოს შესაბამის ადგილ-ზე სამეუფეო ხასად ჩაწერის მიზნით, უმაღლეს დავთარხანას აი ეს წერილობითი შეტყო-ბინების ფურცელი გადმოეცა.

7 რამაზანი, წელი 1197.[169]

ბათუმსა და გონიას შორის მდებარე **კახაბერის** მიწის მუქათაას ნახევარი წილის, მა-ლიქანეს წესით მფლობელი, ახალი სულთნის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებული განახ-ლებული ბერათის საპატიო წოდების შეცვლასთან დაკავშირებული უზენაესი სასულთნო

[168] 1759 წლის 2 აგვისტო.

[169] 1783 წლის 6 აგვისტო.

